



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა: ფიზიკა
მოდული: მიკრო და ნანოელექტრონიკა

ზურაბ ყუმბიტაშვილი

სადისერტაციო ნაშრომი თემაზე:

**„ინტეგრალური მიკროსქემების ელემენტების შექმნის დაბალტემპერატურული
ტექნოლოგიის დამუშავება“**

პროგრამის და სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორი

ამირან ბიბილაშვილი

შესავალი	4
1. კვლევის არსის ლიტერატურული მიმოხილვა	13
1.1. პლაზმური ანოდირება	13
1.2. პლაზმური ანოდირების ფიზიკური მექანიზმი	16
1.3. იზოლირებულ ჩამკეტიანი ველის ტრანზისტორის მუშაობის პრინციპი	19
1.4. იზოლირებულ ჩამკეტიანი ველის ტრანზისტორის ვოლტ-ამპერული მახასიათებლები	24
1.5. იზოლირებულ ჩამკეტიანი ველის ტრანზისტორის დიფერენციალური მახასიათებლები	27
1.6. ორჩამკეტიანი ველის ტრანზისტორი	30
2. ექსპერიმენტული მეთოდები	35
2.1. თხელი ფირების ფორმირების ტექნოლოგიური პროცესები	35
2.1.1. საფენის ზედაპირის ქიმიური დამუშავება	35
2.1.2. ფოტოლიტოგრაფია	38
2.1.3. ფირების დაფენის ვაკუუმური პროცესი	45
2.2. გაზომვის მეთოდები	50
2.2.1. ვოლტ-ფარადული (C-V) მახასიათებელი	50
2.2.2. ზედაპირული პროფილომეტრია	60
2.2.3. რენტგენო-დიფრაქციული მეთოდი	60
2.2.4. X-სხივების ფოტოელექტრონული სპექტროსკოპია (XPS)	62
3. სტიმულირებული პლაზმური ანოდირებით ნახევარგამტარული და მეტალური თხელი ოქსიდური ფირების მიღების ექსპერიმენტული პროცესები	65
3.1. სილიციუმზე გარდამავალ მეტალთა ოქსიდური ფირების ფორმირება	65
3.1.1. გარდამავალ მეტალთა ფირების ფორმირება	65
3.1.2. გარდამავალ მეტალთა ოქსიდური ფირების ფორმირება	66

3.2. გალიუმის არსენიდზე საკუთარი ოქსიდური ფირის ფორმირება . . .	67
3.3. სტიმულირებული პლაზმური ანოდირების პროცესის კინეტიკა . . .	68
დასკვნა	73
4. ექსპერიმენტული შედეგები და ანალიზი	74
4.1 ვოლტ–ფარადული (C-V) მახასიათებელი	74
4.2. ზედაპირული პროფილომეტრია	81
4.3. რენტგენო–სტრუქტურული ანალიზი	85
4.4. X–სხივების ფოტოელექტრონული სპექტროსკოპია	86
დასკვნა	92
4.5. იზოლირებულ ჩამკეტიანი ველის ტრანზისტორის მიღება და პარამეტრები	93
4.5.1. მეტალ–დიელექტრიკ–ნახევარგამტარი ველის ტრანზისტორი .	93
4.5.2. ორჩამკეტიანი ველის ტრანზისტორი	96
4.6. სტიმულირებული პლაზმური ანოდირების ფიზიკური მექანიზმი .	99
დასკვნა	104
შედეგები	105
გამოყენებული ლიტერატურა	107
სტატიები და	117
კონფერენციები	118
პატენტი	119

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მიკროელექტრონიკის განვითარების თანამედროვე ეტაპი გამოირჩევა ყველა მიკროსქემაში და აპარატურაში ინტეგრალური მიკროსქემების (იმს) ფართო გამოყენებით. ეს ძირითადად დაკავშირებულია იმ ამოცანების და საკითხების გართულებით, რომელსაც წყვეტს ელექტრონული აპარატურა და რომელმაც თავის მხრივ გამოიწვია მასში შემავალი ელემენტების ინტეგრაციის ხარისხის გაზრდა. ინტეგრაციის ხარისხის გაზრდა კი განაპირობებულია ინტეგრალური მიკროსქემების ელემენტების ზომების შემცირებით. აქედან, ცხადია რამდენად მნიშვნელოვანია მიკრო და ნანოელექტრონული ხელსაწყოების და მისი ელემენტების ხარისხის და საიმედოობის ამაღლება, რომელიც მიიღწევა ამ ელემენტების დამზადების ოპტიმალური ტექნოლოგიური პროცესების ერთობლიობით.

მიკრო და ნანოელექტრონული ხელსაწყოების ძირითად ელემენტს წარმოადგენს დიელექტრიკი, რომლის მიმართ განსაკუთრებული მოთხოვნებია წაყენებული – ის უნდა იყოს: 1) ზეთხელი (5-50 ნმ); 2) დიდი დიელექტრიკული შეღწევადობით კულონური ბლოკადის ძაბვის დაბალი მნიშვნელობებისათვის (დიელექტრიკის გარღვევის დამაბულობის შეუმცირებლად); 3) უწყვეტი; 4) უდეფექტო, მინარევების გარეშე და 5) გარე ფაქტორების მიმართ სტაბილური.

მიკრო და ნანოელექტრონული ხელსაწყოების დამზადებისთვის მიკროჩიპების საბაზისო მასალა არის სილიციუმი (Si), როგორც იაფი და კარგად შესწავლილი ნახევარგამტარი, ხოლო დიელექტრიკად გამოყენებულია სილიციუმის დიოქსიდი (SiO_2), მათი მესერის პარამეტრების ერთმანეთთან კარგი თავსებადობისა და ასევე Si-SiO₂ გამყოფი საზღვრის სრულყოფის გამო სხვა დიელექტრიკთან შედარებით. ინტეგრალური მიკროსქემების (იმს) ინტეგრაციის ხარისხის შემდგომმა გაზრდამ გამოიწვია ელემენტების ზომების შემცირება თითქმის ფიზიკურ ზღვრამდე. ამას მოჰყვა SiO₂-ის ფირების სისქის შემცირება 5–30 ნმ-მდე [1], რომლის შედეგადაც გაიზარდა მათში გაჟონვის დენების სიდიდე და შესაბამისად სქემაში სითბოს გამოყოფა [2]. ამიტომ საჭირო გახდა SiO₂-ის შეცვლა სხვა უფრო დიდი დიელექტრიკული შეღწევადობის მქონე ისეთი თხელი ოქსიდური ფირებით,

რომლებსაც ექნებოდათ კარგი თავსებადობა სილიციუმთან და იმს–ის წარმოების ტექნოლოგიასთან [3-8]. ასეთი დიელექტრიკები აღმოჩნდა გარდამავალ მეტალთა (ტიტანი, ჰაფნიუმი, ცირკონიუმი,...) ოქსიდები, რადგან სხვა ოქსიდებთან შედარებით, მათ აქვთ დიდი დიელექტრიკული შეღწევადობები (10-160) [9-11]. უკანასკნელ ხანს მათ დიდი გამოყენება ჰპოვეს ველის ტრანზისტორებში როგორც ჩამკეტქვეშა დიელექტრიკები [12-14], ახალ ელემენტში მემრისტორში - აქტიური ფენები, ერთელექტრონიან და რეზონანსულ გვირაბგასვლის ხელსაწყოებში და სხვა [15-19].

სილიციუმთან შედარებით ნახევარგამტარული მასალა გალიუმის არსენიდი (GaAs) ხასიათდება მუხტის მატარებლების მაღალი ძვრადობით (8500 სმ²/ვ·წმ, 300K-ზე). სილიციუმისათვის მუხტის მატარებლების ძვრადობა კი p-ტიპის შემთხვევაში შეადგენს 450სმ²/ვ·წმ, ხოლო n-ტიპისათვის -1400სმ²/ვ·წმ-ს. ამასთან, მათზე დიელექტრიკული ფირების ფორმირების სტანდარტული ტექნოლოგია მაღალტემპერატურულია (Si-ზე ~1400K, ხოლო GaAs-ზე - ~700K). მაღალ ტემპერატურაზე GaAs-ის ქვესაფენის სტრუქტურა იშლება და დარიშხანი იწყებს საფენიდან აორთქლებას [20-22]. ზოგადად, მაღალ ტემპერატურაზე იწყება დიელექტრიკში არასასურველი მინარევების დიფუზია, მისი ფორიანობის გაზრდა, ქვესაფენთან ადგეზიის გაუარესება და ა.შ. მაშასადამე, არა მხოლოდ დიელექტრიკის ტიპი, არამედ მისი მიღების ტექნოლოგიის ტემპერატურის შემცირებაც გადამწყვეტი ფაქტორია შესაბამისი მიკრო და ნანო ხელსაწყოთა დამზადებისათვის.

ზემოთ მოყვანილი ფაქტორების გათვალისწინებით, აუცილებელია შემუშავდეს ისეთი ტექნოლოგია, რომელიც იქნება დაბალტემპერატურული და საშუალებას მოგვცემს მივიღოთ მაღალი ხარისხის ნანოსისქის ოქსიდები. ასეთ მოთხოვნებს კარგად პასუხობს **პლაზმური ანოდირება**. პლაზმური ანოდირების ტექნოლოგიური პროცესი ტარდება ვაკუუმში, დაბალ ტემპერატურაზე (~673K), და კარგად ეთანადება იმს–ის სხვა ელემენტების ფორმირების პროცესებს. მაგრამ, იგი ხასიათდება პროცესის უაღრესად დაბალი ეფექტურობით (დიელექტრიკის მიღების დაბალი სიჩქარით). ასევე, GaAs-ზე საკუთარი ოქსიდის ფორმირებისას მიიღება არათანაბარი სისქის ფირი. ამით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ

GaAs-ზე დღეს-დღეობით არა არის მიღებული ველის ტრანზისტორი იზოლირებული ჩამკეტით. ყოველივე ამის გამო, პლაზმური ანოდირების მეთოდმა ვერ ჰპოვა ფართო გამოყენება ოქსიდების მიღების თანამედროვე ტექნოლოგიებში.

პლაზმური ანოდირების ამ ნაკლოვანი მხარეების გამოსასწორებლად და დაბალტემპერატურული, მაღალეფექტური ტექნოლოგიის მისაღებად, რომელიც ნაწილობრივ მაინც შეამცირებდა მაღალტემპერატურულ პროცესებთან დაკავშირებულ უარყოფით ეფექტებს და გამოსადეგი იქნებოდა Si-ის და GaAs-ის ტექნოლოგიებში, ჩვენს მიერ დამუშავებულ იქნა დაბალტემპერატურული სტიმულირებული პლაზმური ანოდირება [23-25].

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში განხილულია სწორედ დაბალტემპერატურული სტიმულირებული პლაზმური ანოდირება, ნაჩვენებია ოქსიდების მიღების ტექნოლოგიური პროცესი, მიღებული ოქსიდების საფუძველზე ველის ტრანზისტორის ფორმირება და აღწერილია ანოდირების მექანიზმი.

სტიმულირებული პლაზმური ანოდირების მეთოდი მდგომარეობს შემდეგში: სილიციუმზე დაფენილი თხელი მეტალური ფირების და GaAs-ის პლაზმური ანოდირების პროცესში ულტრაიისფერი (უი) სინათლის (სიმძლავრე -240ვტ, ტალღის სიგრძე - 320ნმ) დასხივებით ხდება პროცესის სტიმულაცია, რომლიც გამორიცხავს ამ ტექნოლოგიის ყველა ზემოთჩამოთვლილ ნაკლოვანებებს. Si-ზე ოქსიდური ფირების ფორმირების ტემპერატურა მცირდება ~673K-მდე და პროცესის ეფექტურობა იზრდება 3-5-ჯერ, ხოლო GaAs-ზე დიელექტრიკული ფირების ფორმირება ხდება ~473K-ზე და რაც მთავარია შედეგად მიიღება მაღალი ხარისხის ოქსიდური ფირები.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დაბალტემპერატურული სტიმულირებული პლაზმური ანოდირების ტექნოლოგიით მაღალი ხარისხის გარდამავალი მეტალების ტიტანის (Ti), ჰაფნიუმის (Hf), ცირკონიუმის (Zr), და გალიუმის არსენიდის ოქსიდების ნანოფირების მიღება და მათი გამოყენება ველის ტრანზისტორში ჩამკეტქვეშა დიელექტრიკებად. ამ მიზნის მისაღწევად გადაჭრილ იქნა რამდენიმე ძირეული

ამოცანა, დაკავშირებული როგორც თეორიულ, ასევე ტექნოლოგიურ და ტექნიკურ საკითხებთან:

1) პლაზმური ანოდირების თეორიული მიმოხილვა და ექსპერიმენტების შესაბამისად დაგეგმვა.

2) პლაზმური ანოდირების პროცესის ეფექტურობის გასაზრდელად აუცილებელია პროცესის სტიმულაცია ულტრაიისფერი სინათლის გამოყენებით, რომელიც საშუალებას იძლევა ეს პროცესი ჩატარდეს შედარებით დაბალ ტემპერატურაზე ($<400^{\circ}\text{C}$).

3) მოდერნიზებული ტექნოლოგიური დანადგარი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს მაღალი ხარისხის დიელექტრიკების მისაღებად, ამიტომ ვაკუუმის გაუმჯობესება სამუშაო კამერაში, მაღალი სისუფთავის აირების შეშვება კამერაში და პროცესის კონტროლი ერთ-ერთი ძირეული ამოცანაა.

4) ექსპერიმენტების დაგეგმვა სხვადასხვა ტექნოლოგიური პარამეტრებით.

5) მიღებულ ოქსიდურ ფირებზე ზუსტი გაზომვების ჩატარება, რომელიც მოიცავს სტრუქტურული, ელექტრული და ოპტიკური მახასიათებლების ანალიზს.

6) გაზომვებიდან მიღებული შედეგებით ოპტიმალური ტექნოლოგიური პარამეტრების განსაზღვრა და ტექნოლოგიური მარშრუტის ჩამოყალიბება.

7) ოპტიმალური ტექნოლოგიური პარამეტრებით მიღებული ოქსიდური ფირების გამოყენება ველის ტრანზისტორში ჩამკეტქვეშა დიელექტრიკად - ტრანზისტორის ფორმირება.

სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლე:

❖ პირველად შემუშავდა მეტალებისა და ნახევარგამტარების საკუთარი ოქსიდების ფორმირების პროცესში ულტრაიისფერი სინათლით პლაზმური ანოდირების სტიმულაციის მეთოდი;

❖ მეტალებისა და ნახევარგამტარების ზედაპირების სტიმულირებული პლაზმური ანოდირებისას საგრძნობლად გაიზარდა ოქსიდების ზრდის სიჩქარე, პროცესის ეფექტურობა და მიღებული ფირების ხარისხი;

❖ შემუშავდა სტიმულირებული პლაზმური ანოდირების ტექნოლოგიური მარშრუტი და სილიციუმზე დამზადდა მეტალ-დიელექტრიკ-ნახევარგამტარი

ველის ტრანზისტორი, რომელშიც ჩამკეტქვემა დიელექტრიკად გამოყენებულ იქნა ჰაფნიუმის დიოქსიდი;

❖ შემუშავდა სტიმულირებული პლაზმური ანოდირების პროცესის მექანიზმი, რომელშიც გათვალისწინებულია უი სინათლის მოქმედების ეფექტები ჟანგბადის პლაზმაზე, პლაზმა-ოქსიდის გამყოფ საზღვარზე და ოქსიდზე.

სამუშაო თემის აპრობაცია.

დისერტაციის ძირითადი შედეგები მოხსენებულ იქნა შემდეგ საერთაშორისო დ ადგილობრივ კონფერენციებზე:

1. 1-6 October, 2017, Lopota resort, Kacheti, Georgia, XVIIth International Biannual Meeting Getting and Defect Engineering In Semiconductor Technology XVII, „Low Temperature Technology of GaN”, Amiran Bibilashvili, Nugzar Dolidze, Zurab Jibuti, **Zurab Kushitashvili**, Revaz Melkadze, Tamila Khelashvili, Givi Skhiladze and Revaz Guliaevi.

www.gadest2017.com

2. 7-11 September, 2016, Prague, Czech Republic, „The World Multidisciplinary Earth Science Symposium – WMESS 2016”, „Low Temperature Oxidation of GaAs by UV Stimulated Plasma Anodizing”, A.Bibilashvili, **Z.Kushitashvili**,

www.mess-earth.org.

3. 5-9 September, 2016, Prague, Czech Republic, „The World Multidisciplinary Earth Science Symposium – WMESS 2016”, „C-V Measurement of HfO₂ Dielectric Layer Received by UV Stimulated Plasma Anodizing”, A.Bibilashvili, **Z.Kushitashvili**,

www.mess-earth.org.

4. 24-27 October, 2016, Tbilisi, Georgia, Nano-2016, 4th Internat. Conf. “Nanotechnologies”, “Nanoscale HfO₂ and ZrO₂ Gate Oxides in Field Effect Transistors”, A.Bibilashvili, **Z. Kushitashvili**, S.Sikharulidze, L.Jangidze;

www.NanoStudies.org

5. 21-23 October, 2015, Tbilisi, Georgia, International conference „Advanced Materials and Technologies, „Development of technology receiving thin dielectric layers for micro and nanoelectronics”, A.Bibilashvili, S.Sikharulidze, **Z.Kushitashvili**, L.Jangidze, L.Jibuti.

6. 2015, Tbilisi, Georgia, 2nd International Conference Modern Technologies and Methods of Inorganic Materials, „Research and Development of Technology Receiving Titanium Oxides”, A.Bibilashvili, R.Guliaevi, G.Skhiladze, N.Dolidze, **Z.Kushitashvili**, L.Jibuti.
7. 20-24 October, 2014, Tbilisi, Georgia, International conference „Nano 2014” , „Electrical, Optical and Structural Properties of Titanium Dioxide Dielectric Films Formed by DC Magnetron Sputtering”, A.Bibilashvili, G.Skhiladze, **Z.Kushitashvili**.
www.NanoStudies.org
8. 20-24 October, 2014, Tbilisi, Georgia, International conference „Nano 2014” , „Research of Processes of Photo Stimulated Crystallization of Nano Dimensional Layers of Silicon on Sapphire Films”, Z.Jibuti, S.Avsarkisovi, A. Bibilashvili, R.Guliaevi, N.Dolidze, **Z.Kushiashvili**.
www.NanoStudies.org
9. 2003, Moscow-Zvenigorod, Russia, International conference “Micro-and nanoelectronics-2003”, „Low temperature technology of semiconductor devices and integrated circuits”, A. Bibilashvili, Z. Bokhochadze, A. Gerasimov, R. Kazarov, **Z. Kushitashvili**, I. Lomidze, T. Ratiani, Z. Samadashvili.
10. 2003, Баку, Azerbaijan, IV междунаод. раучнтехн.конф. МЭПП-2003, „Исследование фотостимулированных диффузионных процессов в кремнии” Бибилашвили А.П., Герасимов А.Б., Казаров Р.Е., Ломидзе И.Дж., **Кушиташвили З.Ш.**

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა

დისერტაცია შედგება შესავალის, ოთხი თავის, შედეგების, გამოყენებული ლიტერატურის, საკუთარი სტატიებისა და კონფერენციებში მონაწილეობის სიისგან.

ის შეიცავს 58 ნახაზს, 7 ცხრილსა და 158 დასახელების ციტირებულ ლიტერატურულ წყაროს. დისერტაციის მოცულობა შეადგენს 119 ნაბეჭდ გვერდს.

შესავალში დასაბუთებულია აუცილებლობა იმისა, რომ საყოველთაოდ მიღებული და სერიულ ხელსაწყოებში გამოყენებული სილიციუმის დიოქსიდი შეიცვალოს უფრო დიდი დიელექტრიკული შეღწევადობის მქონე ისეთი თხელი ოქსიდური ფირებით, რომლებსაც ექნება კარგი შეთავსება Si-თან და იმს-ის ტექნოლოგიასთან. ასევე ნაჩვენებია, რომ ასეთები უნდა იყოს გარდამავალ მეტალთა ოქსიდები, მიღებული ალტერნატიული, ორიგინალური – ულტრაიისფერი სინათლის სტიმულირებული პლაზმური ანოდირებით. მოცემულია სადისერტაციო თემის აქტუალობა, ჩამოყალიბებულია ნაშრომის მიზნები, ამოცანები და სამეცნიერო სიახლე.

პირველი თავი ეძღვნება კვლევის არსის ლიტერატურულ მიმოხილვას. წარმოდგენილია ზოგადად პლაზმური ანოდირების არსი, განხილულია დანადგარის სქემატური მოქმედების პრინციპი, პროცესის ჩატარების თავისებურებანი და ფიზიკური მექანიზმი. ნაჩვენებია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი სუფთაა (პროცესი მიმდინარეობს ვაკუუმში), დაბალტემპერატურულია, ამ მეთოდმა ვერ ჰპოვა გავრცელება ხელსაწყოთა წარმოებაში, პროცესის ეფექტურობისა და შესაბამისად, ოქსიდის ფორმირების დაბალი სიჩქარის გამო.

წარმოდგენილია იზოლირებულ ჩამკეტიანი ველის ტრანზისტორის უპირატესობანი სხვა ტიპის ტრანზისტორებთან შედარებით. განხილულია მისი მუშაობის პრინციპი, ჩამკეტჩვემა დიელექტრიკის მთავარი როლი და მისი მახასიათებლები. მოყვანილია ველის ტრანზისტორის ვოლტ-ამპერული მახასიათებლიდან მისი დიფერენციალური მახასიათებლების განსაზღვრის ხერხი. ნაჩვენებია ორჩამკეტიანი ველის ტრანზისტორის დიდი უპირატესობანი, როგორც ინტეგრაციის გაზრდის მხრივ, ასევე სწრაფქმედების ამაღლებითაც.

მეორე თავში განხილულია ექსპერიმენტული მეთოდები, რომლებითაც მოხდა ფირების მიღების ტექნოლოგიური პროცესები და მათი პარამეტრების გაზომვები. ყურადღებაა გამახვილებული სილიციუმის და გალიუმის არსენიდის საფენების საწყის, ქიმიურ დამუშავებაზე და მის თავისებურებებზე. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ისეთ ზუსტ და რთულ მეთოდს, როგორცაა ფოტოლიტოგრაფია,

რომლის ჩატარების სიზუსტეზეა დამოკიდებული ტრანზისტორების და ზოგადად, იმს-ის მიღება და საიმედოობა. მოყვანილია მისი ჩატარების თანმიმდევრობა, არსი და სიზუსტე. განხილულია მეტალური ფირების ვაკუუმური დაფენის მეთოდის პროცესის ფიზიკური აზრი და მისი მართვის პარამეტრები.

მოცემულია ოქსიდური ფირებისთვის პარამეტრების გაზომვის ისეთი მეთოდები, როგორცაა ვოლტ-ფარადული მახასიათებელი, ზედაპირული პროფილომეტრია, რენტგენო-დიფრაქციული მეთოდი და რენტგენული სხივების ფოტოელექტრონული სპექტროსკოპია. წარმოდგენილია ამ მეთოდებით შესაბამისი პარამეტრების განსაზღვრა.

მესამე თავი მიძღვნილია ორიგინალური, სტიმულირებილი პლაზმური ანოდირებით ნახევარგამტარული და მეტალური თხელი ოქსიდური ფირების ფორმირების ექსპერიმენტულ პროცესებს. შექმნილია სილიციუმის საფენზე ჰაფნიუმის, ტიტანის და ცირკონიუმის და გალიუმის არსენიდის საკუთარი ოქსიდური ფირები პლაზმური ანოდირებით, სადაც ანოდირების პროცესში ხდებოდა სტიმულაცია დასაქანგი ნიმუშის ~5ევ ენერგიის ულტრაისფერი სინათლით დასხივებით. მოყვანილია სტიმულირებული პლაზმური ანოდირების პროცესის ჩატარების პირობები და ოქსიდური ფირების ზრდის კინეტიკა.

მეთხე თავში მოყვანილია ექსპერიმენტული შედეგები და განხილულია მათი ანალიზი. ვოლტ-ფარადული მახასიათებლების ანალიზმა აჩვენა, რომ ყველა გარდამავალ მეტალთა ოქსიდი შეიცავს დადებით მუხტს. ოქსიდების ზედაპირული პროფილომეტრიით დაზუსტდა ოქსიდთა სისქეები და ხაოიანობა თითქმის ერთნაირი იყო და იმყოფებოდა $(10 \div 25) \text{ \AA}$ ინტერვალში. ფოტოელექტრონული სპექტროსკოპიით დადგინდა ოქსიდთა ქიმიური შედგენილობა. მიღებული ოქსიდების შედარებიდან დადგინდა, რომ კარგი მახასიათებლები გააჩნია ჰაფნიუმის ოქსიდს. ამიტომ შემუშავდა იზოლირებულ ჩამკეტეანი ველის ტრანზისტორის მიღების ტექნოლოგიური მარშრუტი და შესაბამისი ფოტოლიტოგრაფიის გამოყენებით დამზადდა ერთ- და ორჩამკეტეანი ველის ტრანზისტორი ჰაფნიუმის ოქსიდის ბაზაზე. გადაღებულ იქნა მათი ვოლტ-ამპერული მახასიათებლები და გაიზომა დიფერენციალური პარამეტრები.

შემუშავდა ულტრაიისფერი სინათლით სტიმულირებული პლაზმური ანოდირების შესაძლო ფიზიკური მექანიზმი, სადაც დაბალ ტემპერატურაზე ოქსიდში ჟანგბადის დიფუზიის კოეფიციენტის გაზრდის ასახსნელად გათვალისწინებულ იქნა ულტრა იისფერი სინათლის მოქმედების ერთობლიობა ჟანგბადის შემცველ პლაზმაზე, გამყოფ საზღვარზე პლაზმა–ოქსიდი, ოქსიდზე და საფენზე.

1. კვლევის არსის ლიტერატურული მიმოხილვა

1.1. პლაზმური ანოდირება


თითქმის ყველა ნახევარგამტარების და მეტალების ზედაპირები ატმოსფეროს ჩვეულებრივ პირობებში ყოფნისას იჟანგებიან, წარმოქმნიან საკუთარი ოქსიდის თხელ ფენას, რომლის სისქის ზრდა სწრაფად წყდება. ამ ფენის შემდგომი ზრდისთვის საჭიროა, რომ ჟანგბადის ატომის იონმა შეაღწიოს უფრო ღრმა ფენაში [26]. ეს შეიძლება მოხდეს კრისტალის ზედაპირზე შექმნილი ჟანგში მათი დიფუზიით ან მოდებული გარე ელექტრული ველით. ნიმუშის გახურებით ორივე ეს პროცესი დაჩქარდება [27-28].

პირველი პროცესი მაღალტემპერატურულია და როგორც ზემოთ იყო აღნიშნული არაეფექტურია. ელექტრული ველით დაჟანგვის პროცესისი ერთ–ერთი მეთოდია პლაზმური ანოდირება. ჭურჭელში, სადაც ჩამაგრებულია ანოდი, კათოდი და მათ შორის განცალკევებით ნიმუში, იქმნება განსაზღვრული ვაკუუმი. ანოდსა და კათოდს შორის განსაზღვრულ ძაბვაზე ხდება აირის გარღვევა და მისი იონიზაცია, რაც განაპირობებს მასში იონური დენის გავლას, ანუ პლაზმის მიღებას. გარკვეული დოზით ჟანგბადის შეშვებით მიიღება ჟანგბადშემცველი პლაზმა. დასაჟანგ ნიმუშზე პლაზმის მიმართ მოდებული დადებითი ძაბვით ხდება პლაზმიდან ჟანგბადის უარყოფითი იონების ამოქაჩვა, რომლებიც მიგრირდებიან ნიმუშში და ახდენენ დაჟანგვას [29-30]. პლაზმური ანოდირების დანადგარის პრინციპული სქემა მოცემულია ნახ.1.1–ზე.


პლაზმური ანოდირების პროცესის ერთ–ერთი ძირითადი პარამეტრია დენის, ანუ პროცესის ეფექტურობა [31-32], რომელიც ანოდირების დენის სიმკვრივის მუდმივობისას განისაზღვრება ფორმულით:

$$y = \frac{6ADF...}{QM} \quad (1.1)$$

სადაც, A –დასაჟანგი ნიმუშის ზედაპირის ფართობია, D –ჟანგის სისქე, F –ფარადეის რიცხვი ($9,65 \cdot 10^4$ კ/მოლ), $...$ –ჟანგის სიმკვრივე, Q –ჯამური მუხტი, M მოლური მასა. ამ განტოლებიდან ჩანს, რომ ეფექტურობა დამოკიდებულია ჯამურ მუხტზე და პლაზმაში იონების კონცენტრაციაზე [33-34]. ნიმუშზე დადებითი ძაბვის მოდებით,



ნახ. 1.1 პლაზმური ანოდირების დანადგარის პრინციპული სქემა



ნახ. 1.2 პლაზმური ანოდირებისას ძაბვისა და დენის კინეტიკა

როგორც ითქვა, ხდება უარყოფითი იონების მიგრაცია, რაც იწვევს დაჟანგვის პროცესს. მაგრამ, მათთან ერთად ხდება ელექტრონების წატაცებაც, რომლებიც დაჟანგვის პროცესში არ მონაწილეობენ და რადგანაც მათი ძვრადობები მეტია იონების ძვრადობაზე, ამიტომ საერთო დენში მეტი იქნება მათი წვლილი. ამიტომ, შეძლება ასეც წარმოდგინდეს:

$$y = \frac{I_i}{I_i + I_E} \quad (1.2)$$

სადაც, I_i – იონური დენის სიმკვრივეა და I_E – ელექტრონული დენის სიმკვრივე.

რადგანაც $I_i \ll I_E$, ამიტომ მრიცხველი \ll მნიშვნელზე და $y \ll 1$. აქედან ცხადია, რომ პლაზმური ანოდირება ხასიათდება ძალიან მცირე ეფექტურობით ($y \sim 4\%$) და შესაბამისად ოქსიდების სისქის ზრდის მცირე მნიშვნელობით.

ოქსიდის ზრდის ხასიათი და თვისებები ნიმუშში გამავალი იონური და ელექტრონული დენების სიდიდეთა ფარდობაზეა გამოკიდებული [35-36]. იონური დენის გამოთვლა შესაძლებელია ფარადეის კანონიდან, რომელსაც აქვს სახე:

$$J_i = \frac{4 \dots F}{M} * \frac{dD}{dt} \quad (1.3)$$

სადაც, ... ოქსიდის სიმკვრივეა (გ/სმ³), $F = 9,65 \cdot 10^4$ ფარადეის რიცხვია (კ/მოლ), M მოლური სიმკვრივეა (გ/მოლ) და $\frac{dD}{dt}$ ანოდირების სიჩქარეა (Å/მოლ).

პლაზმური ანოდირების პროცები ტარდებოდა გალვანოსტატიკურ რეჟიმში. ამ დროს მუდმივა ანოდირების (ფორმირების) დენის სიმკვრივე ($I = const$). ოქსიდის ფირის სისქის ზრდასთან ერთად იზრდება მისი წინაღობაც და მუდმივი დენის სიმკვრივის შენარჩუნებისთვის საჭიროა ძაბვის გაზრდაც. ანოდირების ძაბვის რეგისტრაცია იძლევა პლაზმური ანოდირების პროცესის კინეტიკას, რომელიც მოცემულია ნახ. 1.2–ზე. ეს პროცესი ფუნქციონალურად დაკავშირებულია ოქსიდის ფირის ზრდის რეალურ კინეტიკასთან, ანუ $D(t)$ – ოქსიდის სისქის დამოკიდებულებას დროზე. ეს რეჟიმი ყველაზე მეტად გამოიყენება კვლევით პროცესებში, რადგან

უზრუნველყოფს ოქსიდში ელექტრული დენის მუდმივობას და ოქსიდის ზრდის დროს ზრდის სტრუქტურულ სრულყოფას.

1.2. პლაზმური ანოდირების ფიზიკური მექანიზმი

როგორც ექსპერიმენტებმა აჩვენეს, მღვივადი განმურტვის დროს, მუდმივი დენის შემთხვევაში ჟანგის ფენების ზრდა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ნიმუშზე მოდებულია პლაზმასთან შედარებით დადებითი ძაბვა [37].

დღეს–დღეობით არ არსებობს პლაზმური ანოდირების ერთიანი მოდელი, რომელიც თუნდაც რაოდენობრივად ახსნიდა ყველა ექსპერიმენტულ მონაცემებს. ასე მაგალითად, დადგენილია, რომ ანოდირების დროს იონური დენის ნიმუშში გავლით, დაჟანგვა ხდება ან ნიმუშში–ჟამგის ზედაპირზე, ან ჟანგი–პლაზმის ზედაპირზე [38]. ამა თუ იმ სახის დაჯანგვის პროცესის სიჭარბე განპირობებულია, როგორც აქტივაციის ზღურბლური ენერგიების შეფარდებით, ასევე ოქსიდში მათი ძვრადობებით.

უარყოფითი იონების და ელექტრონების როლი ჯერ ბოლომდე არაა გარკვეული. მკვლევარების ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ ელექტრონების არსებობა არასასურველია, რადგან სინი იწვევენ გაჟონვის დენებს და ამცირებენ ანოდირების პროცესის ეფექტურობას, ხოლო ჟანგბადის უარყოფითი იონების ურთიერთქმედებენ რა ოქსიდის მესერთან, პლაზმიდან ჩაიჭირებიან ჟანგის ზედაპირის მიერ [39]. სხვა ჯგუფის აზრით [40], პლაზმაში ელექტრონების არსებობა ანოდირებისთვის აუცილებელია, რადგან ჟანგბადის იონების წარმოქმნა ხდება ოქსიდის ზედაპირზე შემდეგი რეაქციით:



ამ ჰიპოტეზის სასარგებლოდ დგინდება, რომ ოქსიდის ზედაპირზე არსებული ორმაგი უარყოფითი შრის გამო, ჟანგბადის უარყოფით იონებს, რომელთა სითბური ენერგიები არ აღემატება ელექტრონვოლტის რამდენიმე ნაწილს, არ შეუძლიათ მიაღწიონ ზედაპირამდე იმ რაოდენობით, რომ შექმნან ოქსიდის ახალი ფენები. ზედაპირი იქცევა ბრტყელი იზოლირებული ზონდის მსგავსად და მასზე ხვდებიან

მხოლოდ ჟანგბადის დადებითი იონები და სწრაფი ელექტრონები ბოლცმანის განაწილების „კუდიდან“.

ორივე ჰიპოთეზის შესასწავლად ჩატარდა მრავალი კვლევა. ზოგ ნაშრომში, განხილულია შემთხვევა, როცა ანოდურ პოტენციალზე მოდებულია ცვლადი ძაბვა, რათა მოხდეს პლაზმიდან უარყოფითი იონების და ელექტრონების გამოცალკეება. მღვივადი განმუხტვა პირველად ჩატარდა ალუმინზე ორ სხვადასხვა რეჟიმში. ერთში მოდებულ იყო 5ვ ამპლიტუდის ცვლადი ძაბვა, მეორეში – 5ვ მუდმივი და ამავე სიდიდის ცვლადი ძაბვების სუპერპოზიცია. ამ ექსპერიმენტების ავტორების აზრით [41], ცვლადი სიგნალის შემთხვევაში ოქსიდის ზედაპირზე ძაბვის ნახევარპერიოდში ხდება უარყოფითი იონებით ანოდირება, ხოლო მეორე ექსპერიმენტში, როცა მოდებულ იყო ორივე ძაბვის სუპერპოზიცია, ხდებოდა ოქსიდიე ზედაპირზე უარყოფითი იონების „ჩაჭედვა“, რადგან მათი მასის გამო ვერ ასწრებდნენ ძაბვის ცვლად ნაწილზე აყოლას და გრძნობდნენ მხოლოდ უარყოფით მუდმივ ნაწილს, რომელიც განიზიდებოდა ზედაპირიდან.

როგორც ნახ.1.2–დან ჩანს პოტენციოსტატიკურ რეჟიმში დენის შემცირებით ოქსიდის ზრდა შესამჩნევი სიჩქარით ხდება მხოლოდ პირველ შემთხვევაში, რაც ავტორების აზრით არის ჟანგბადის უარყოფითი იონების არსებობის აუცილებლობა დაჟანგვის ჩასატარებლად.

ცვლადი და მუდმივი ძაბვების სუპერპოზიციის დროს, ოქსიდში დადებითი პოლარობის ველი საერთოდ არ არის, რაც ოქსიდის ზრდისთვის არის აუცილებელი. მიუხედავად იმისა, თუ რომელი მექანიზმითაა მიღებული იონები, ელექტრული ველი არ წარმოადგენს მასტიმულირებელ ფაქტორს და მიზანიც ვერ აღწევს სასურველ შედეგს. გარდა ამისა, მეორე შემთხვევაში, ანუ ძაბვის სუპერპოზიციის დროს, ხდება ნიმუშიდან O^- იონების, ასევე პლაზმიდან ელექტრული დენის დიდი ნაწილის ჩაკეტვა. ოქსიდის ზედაპირი მუშაობს ერთგვარი ზონდის სახით, როცა მის ზედაპირზე აღწევენ მხოლოდ დადებითი იონები. ამაზე მოწმობს პროცესის დასაწყისშივე ანოდური დენის სიმცირე, როცა ოქსიდის სისქე ჯერ კიდევ უმნიშვნელოა. ამავე ექსპერიმენტის ავტორებმა მოგვიანებით განაცხადეს თავიანთ შრომებში შეცვლილი მოსაზრება დაასკვნეს ოქსიდის ფორმირების რეაქციაში ელექტრონების წამყვან როლზე და აუცილებლობაზე.

მკვლევარების ერთმა ნაწილმა გამოიკვლიეს ჟანგბადის უარყოფითი იონების როლი ანოდირების პროცესში. ერთ შემთხვევაში, ანოდირების პროცესში შეურიეს წყალბადი, მეორე პროცესში – აზოტის ჟანგი NO_2 . წყალბადის შერევის დროს ხდება შემდეგი რეაქცია:



რითაც ჟანგბადის იონების კონცენტრაცია შემცირდა. იგივე შედეგი მოყვა აზოტის ჟანგთან ურთიერთმოქმედების დროს:



ორივე შემთხვევაში ოქსიდის ზრდის სიჩქარე მყისიერად შემცირდა, რაც ჩათვალეს O^- -ის წამყვან როლზე, რომლებიც წარმოიქმნებიან პლაზმიდან ოქსიდის ზედაპირზე. გარდა იმ ექსპერიმენტებისა, რომლებშიც ხდებოდა გაზის შემადგენლობის ვარირება, ასევე შეისწავლებოდა ოქსიდის ზრდის სიჩქარისა და O^- იონების კონცენტრაციის დამოკიდებულება ანოდური დენის სიმკვრივეზე. აღმოჩნდა, რომ ჟანგბადის დაბალ წნევაზე (0,1 მმ.ვწყ.სვ), დაიმზირება O^- იონებსა და ანოდირების სიჩქარეს შორის წრფივი დამოკიდებულება. წნევის შემდგომი ზრდით (1,0 მმ.ვწყ.სვ)–მდე, 3–ჯერ მცირდება ოქსიდის ზრდის სიჩქარე, თუმცა უარყოფითი იონების კონცენტრაცია მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ასეთმა შედეგმა განაპირობა იმის ვარაუდი, რომ O^- იონების წარმოქმნასთან ერთად შეიძლება არსებობდეს ისეთი მექანიზმებიც, რომლებიც ახდენენ პლაზმაში არსებული იონების დისოციაციას ადსორბირებული ჟანგბადის მოლეკულებთან. ასევე ჩატარდა ექსპერიმენტები, რომლებშიც მუდმივ ელექტრულ ველთან ერთად მოდებულ იყო მაგნიტური ველიც, რომელსაც უნდა მოეცა ელექტრონების ან იონების ან ორივეს ერთად გადარჩევის შესაძლებლობა. რაც ქაოსიურად მოძრავი ნაწილაკებისთვის პრინციპულად მიუსადაგებელია. თუმცა ელექტრონების როლის სასარგებლოდ არსებობს ექსპერიმენტული მონაცემები, როლებშიც ნიმუშია პარალელურად მოდებულ იყო მაგნიტური ველი, რითაც ხდებოდა ელექტრონების ნაკადის გადაწევა ნიმუშის კონტაქტისგან და ამის გამო ანოდირების პროცესი სწრაფად მცირდებოდა.

ამ ფაქტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ვივარაუდოთ, რომ ანოდირების დროს პლაზმაში არსებული ელექტრონების წვლილი მნიშველოვანია. ისინი გადალახავენ რა ოქსიდის ზედაპირთან ორმაგ ელექტრულ შრეს, ზედაპირთან მიღწეულები შეერწყმიან ჟანგბადის ადსორბირებულ მოლეკულებს ან ურთიერთქმედებენ მის ატომებთან:



რის შედეგადაც ფირფიტის ზედაპირზე წარმოიქმნება ჟანგბადის უარყოფითი იონები, რომლებიც გარე ელექტრული ველით ჩადიან ოქსიდის ფენაში. ელექტრონების ენერგია უნდა იყოს ოპტიმალური, იმისთვის, რომ მაქსიმალური ალბათობით მოხდეს (1.7) და (1.8) ტიპის რეაქციები. ამ ენერგიის გარკვეულ მნიშვნელობაზე მეტი ენერგიებით მიღებული ოქსიდის ხარისხი უარესდება.

1.3. იზოლირებულ ჩამკეტის ველის ტრანზისტორის მუშაობის პრინციპი

თანამედროვე ეტაპზე მიკროელექტრონული ხელსაწყოების დამზადებისთვის ძირითად მასალად მაინც რჩება სილიციუმი, როგორც იაფი და კარგად შესწავლილი. მის საფუძველზე ხელსაწყოების დამზადების ძირითადი პროცესია მეტალ–დიელექტრიკ–ნახევარგამტარი (მდნ) სტრუქტურის შექმნა [42-45]. მაღალხარისხიანი მდნ–სტრუქტურები მიიღება ნახევარგამტარებზე საკუთარი ოქსიდების ფორმირებისას, რაც აიხსნება მათი მესერების პარამეტრების ერთმანეთთან კარგი თავსებადობით და შესაბამისად, ოქსიდი–ნახევარგამტარის გამყოფი საზღვრის სრულყოფით, მათზე სხვა უცხო ოქსიდის არსებობასთან შედარებით.

მიკროელექტრონიკის სფეროში გამოყენებული ხელსაწყოები მათი დენით ან მუხტით მართვისას მოითხოვენ ელექტრული ველის გამოყენებას. ხშირად ინტეგრალური მიკროსქემა (იმს) შეიცავს ათასობით ასეთ სქემას. ასობით იმს კი გამოიყენება მიკროპროცესორებში, ელექტრონულ მოწყობილობებში და ა.შ. ამდენად, ელექტრული ველით მართული ხელსაწყოების მუშაობის ხარისხზე და მოკიდებული სისტემების მუშაობის საიმედოობა და პარამეტრები.

ელექტრული ველით მართული ხელსაწყოების თვალსაჩინო სახეა ველის ტრანზისტორი (ვტ), რომელიც ვაკუუმური ტრიოდის მსგავსია. აქვს შესაბამისად გამომდენი (გ) - ტრიოდის კათოდი, ჩამდენი (ჩ) - ანოდი და ჩამკეტი (ჩკ) - ბადე. ფიზიკური სტრუქტურითა და მუშაობის მექანიზმის მიხედვით ველის ტრანზისტორები პირობითად იყოფიან ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ტრანზისტორები p-n გადასვლის მართვით, ან უბრალოდ მეტალ-ნახევარგამტარ გადასვლით (შოტკის ჯებირი), მეორენი - ტრანზისტორები იზოლირებული ელექტროდის (ჩამკეტი) მართვით, ე.წ. მდნ-სტრუქტურაზე შექმნილი ტრანზისტორი (მდნ-ტრანზისტორი) [46].

მდნ-ველის ტრანზისტორი - ესაა ხელსაწყო, რომელშიც არხში გამავალი დენის მართვა ხდება მისადმი მართობული ელექტრული ველით. არხში დენი აღიძვრება ჩამკეტსა და ჩამდენს შორის გასწვრივ მოდებული ელექტრული ძაბვით. რადგანაც ველის ტრანზისტორში დენის გადამტანები არიან ერთი ტიპის მატარებლები, ამიტომ მათ ეწოდებათ უნიპოლარული ხელსაწყოები. კრისტალური ნახევარგამტარული ფირფიტა, რომელიც მცირედაა ლეგირებული n- ან p- ტიპის მინარევებით, არის ქვესაფენი. მასში შექმნილია მისადმი საწინააღმდეგო გამტარებლობის ძლიერად ლეგირებული ორი უბანი [47]. მათ შორის მანძილი შეიძლება იყოს მიკრონის რიგის. მათგან ერთ-ერთია გამომდენი, მეორე ჩამდენი, ხოლო ჩამკეტი (მეტალური ელექტროდი) იზოლირებულია ქვესაფენისაგან დიელექტრიკის (ოქსიდის) ფენით (სისქით ~ 100 ნმ). გამომდენს, ჩამდენს და ჩამკეტს აქვთ ცალ-ცალკე ომური კონტაქტები და გამომყვანები.

მდნ-ტრანზისტორებს აქვთ რიგი უპირატესობანი [48]:

- მდნ-იმს-ში არაა საჭირო რეზისტორები, რადგანაც შემავალ წინააღმდეგობად გამოიყენება ჩამკეტქვეშა დიელექტრიკული ფენა, რომლის მნიშვნელობა მდნ-რეზისტორებში ~ 10 კომ-ია;
- რადგანაც კონდენსატორის დამუხტვისთვის საჭიროა მცირე დენები, ამიტომ მდნ ვტ-ის გამოსავალზე იზრდება განშტოების კოეფიციენტი;
- ჩვეულებრივ პირობებში ($U_{ჩკ}=0$) ხელსაწყო ჩაკეტილია. მისი გახსნისთვის საჭიროა მცირე ძაბვა ($0.5 \div 1,0$ ვ). ეს დადებითად მოქმედებს ლოგიკური სქემის მუშაობაზე;


- დიდი შემავალი წინაღობა და სასრული ტევადობა იძლევა საშუალებას ეფექტურად გამოვიყენოთ მდნ-ტრანზისტორი მახსოვრობის ელემენტებში;
- მდნ-ტრანზისტორში შეიძლება ადგილები შეუცვალოთ გამომდენს (გ) და ჩამდენს (ჩ), რაც ხელსაყრელია იმს-ის დაპროექტებაში.

მდნ-ტრანზისტორები იზოლირებული ჩამკეტით (იჩკ) არიან ინდუცირებული ან ფიქსირებული არხით. ამიტომ მათ ხშირად უწოდებენ ტრანზისტორებს, მომუშავე გამდიდრებული ან გაღარიბებული არხებით. ინდუცირებული არხის შემთხვევაში ჩკ-ზე ძაბვის ნულთან ტოლობისას არხი არაა და ხელსაწყო ჩაკეტილია. ეს რეჟიმია ე.წ. ნორმალურად ჩაკეტილი (ნჩ) რეჟიმი და არხი წარმოიქმნება მაშინ, როცა ჩკ-ზე ისეთი ძაბვა მოედება, რომ ქვესაფენში, ზედაპირისწინა არეში მიიღება ინვერსია, ანუ წარმოიქმნება გამომდენსა და ჩამდენს შორის მათი ტიპის მატარებლები და ისინი შეერთდებიან. ფიქსირებული ანუ ჩაშენებული არხის ტრანზისტორებში, წინასწარ ფორმირდება გამომდენსა და ჩამდენს შორის მათივე ტიპის არხი. ჩამკეტზე ძაბვის ნულთან ტოლობისას არხში არის გამტარელობა. ასეთი რეჟიმია ნორმალურად ღია (ნღ) რეჟიმი, ანუ ქვესაფენში, ზედაპირისწინა უბანში უკვე არის ინვერსია. ჩკ-ზე შესაბამისი პოლარობისა და სიდიდის ძაბვით შეიძლება არხის გამტარელობის შემცირება (არხის ჩაკეტვაც კი) ან მისი გაზრდა [49-53].

აღსანიშნავია, რომ არხის ტიპი განსაზღვრავს მდნ ვტ-ის ტიპს. მაგალითად, თუ ხელსაწყო მუშაობს n-ტიპის არხით მდნ ვტ არის n-ტიპის და თუ p-ტიპის არხით მდნ ვტ არის p-ტიპის.

განვიხილოთ n-არხიანი მდნ ვტ-ის მუშაობის პრინციპი, რომელიც მუშაობს გამდიდრების (ინდუცირებული არხით) უბანში [54-56]. ნახ.1.3-ზე გამოსახულია მდნ ველის ტრანზისტორი. ის შედგება p ტიპის სილიციუმის ქვესაფენისგან, რომელშიც ფორმირებულია ორი მაღალი ხარისხის ლეგირების n უბანი - გამომდენი (გ), ჩამდენი (ჩ) და მათ შორის L სიგრძის არხი. მეტალური ელექტროდი იზოლირებულია ქვესაფენისგან d სისქის და V დიელექტრიკული მუდმივის დიელექტრიკული ფენით. არხის სიგანეა Z, ხოლო სიღრმე Y. გამომდენი და ქვესაფენი დამიწებულია. როდესაც $U_{\beta 3} = 0$, არხი p - ტიპისაა და იმისდა მიუხედავად, თუ როგორია U_{β} , არხში დენი არ გადის. როდესაც $U_{\beta 3} > 0$, ხვრელები წავლენ დიელექტრიკ-ნახევარგამტარ საზღვრიდან მოცულობაში და არხში მიიღება გაღარიბებული (ქვესაფენის მიმართ) ფენა, რომელიც

არაა საკმარისი არხში დენის გავლისთვის, რადგან გამტარებლობა კვლავ ხვრელურია. თუ U_{B3} -ს გავზრდით, გაღარიბების შრე გაიზრდება, არხში ძვრადი ელექტრონების ინჟექციით (I_{B3} -ის ქვეშ) წარმოიქმნება ინვერსიული უბანი. ეს ინვერსიული, ანუ n უბანი აერთებს ერთნამეთთან გამომდენსა და ჩამდენს და მათ შორის გაივლის დენი. ინვერსიული უბნის წარმოქმნის შემდეგ გაღარიბებული უბანი არ იცვლება. I_{B3} -ზე დადებითი ძაბვის გაზრდით, იზრდება ინვერსიული შრის სისქე, ამასთანვე იზრდება გამავალი დენი გამომდენსა და ჩამდენს შორის. იმ შემთხვევაში, როცა ჩამკეტზე



ნახ. 1.3 n ინდუცირებულ არხიანი მდნ-ველის ტრანზისტორის სტრუქტურის ძირითადი ელემენტები.

ძაბვა მეტია ზღურბლურ ძაბვაზე ($U_{B3} > U_{th}$) ფორმირდება არხი, მაგრამ თუ $U_{B3} = 0$ დენი მაინც არ გაივლის. ამ შემთხვევაში არხი თანაბარია მთელ სიგრძეზე.

ზღურბული ძაბვა U_{th} განისაზღვრება, როგორც ძაბვა, რომელითაც არხში ელექტრონების კონცენტრაცია ტოლია ხვრელების კონცენტრაციისა ქვესაფენში. n -არხიან მდნ ვტ გამდიდრების ტიპისას არხის ფორმირება ხდება, როცა $U_{B3} = U_{th}$. U_{th} ძაბვაზე მცირე U_{B3} ძაბვაზე არხი არაა, ხოლო მასზე მეტზე - არის.

ხელსაწყოს ჩამკეტზე ძაბვის მოდებისას, მისი ნაწილი ეცემა დიელექტრიკზე U_{ox} და ნაწილი გაღარიბებულ უბანზე U_{ch} . ზედაპირული მუხტის კომპენსაციისთვის მოითხოვება U_{th} -დან U_{ss} -ის ვარდნა. მეტალსა და ნახევარგამტარს შორის გამოსვლის მუშაობის სხვაობა იწვევს ნახევარგამტარის ზედაპირზე ენერგეტიკული ზონის

გამრუდებას, რომლისთვისაც საჭიროა კიდევ U_w ძაბვის ვარდნა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში U_{Σ} შეიცავს ოთხ წევრს:

$$U_{\Sigma} = U_d + U_{გაღ} + U_{ss} + U_w \quad (1.9)$$

ამიტომ, U_{Σ} დამოკიდებულია ქვესაფენში მინარევების კონცენტრაციაზე, დიელექტრიკის თვისებებზე, ქვესაფენის კრისტალურ ორიენტაციაზე (U_{ss}) და ჩამკეტის მეტალის სახეზე. ხშირად იონური ლეგირებით ხდება არხის უბნის მინარევის კონცენტრაციის რეგულირება.

მოვდოთ β -ზე დადებითი ძაბვა. ეს გამოიწვევს ელექტრონების ნაკადს g -დან β -კენ. ამ დენის ძალის სიდიდე რეგულირდება β_3 -ის ძაბვით. β_3 -ზე ზღურბლურ ძაბვაზე მეტი ძაბვის მოდებისას I_{β} დენი იზრდება, რადგან არხის სიღრმე იზრდება. ხელსაწყო უნდა განვიხილოთ ორ განზომილებაში, რადგანაც არის ვერტიკალური მიმართულება - ძაბვა ჩამკეტსა და ქვესაფენს შორის და ჰორიზონტალური - β -სა და g -ს შორის. ეს ორი ელექტრული ველი ურთიერთქმედებს ერთმანეთზე, რის შედაგად გაღარიბებული უბანი g -დან β -კენ სისქით იზრდება, ხოლო არხის სისქე მცირდება. β -ზე მოდებულია დადებითი ძაბვა ქვესაფენის მიმართ, იწვევს ქვესაფენში დამატებითი ელექტრონების მოყრას, ე.ი. გაღარიბების შრის გაზრდას. ძაბვა g -სა და β -ს შორის არის ჰორიზონტალური და არის ძაბვის IR ვარდნა არხის გასწვრივ. რადგანაც $U_{\beta_3} > 0$ ამიტომ U_{β} , რომელიც მეტია ნულზე, იწვევს არხის სისქის შემცირებას β -თან. როდესაც $U_{\beta} = U_{\beta_3} - U_{\Sigma}$, მაშინ არხის სისქე β -თან ნულის ტოლია. ამ შემთხვევაში ძაბვა β_3 -არხი, β -თან ახლოს ტოლია:

$$U_{\beta_3} - U_{\beta} = U_{\beta_3} - (U_{\beta_3} - U_{\Sigma}) = U_{\Sigma} \quad (1.10)$$

ეს ძაბვა იძლევა საშუალებას β -თან ახლოს კიდევ შევინარჩუნოთ ძლიერი ინვერსია. U_{β} -ის შემდგომი გადიდებით არხის უბანში β -თან ახლოს „გადაიკეტება“ და გაქრება, რადგანაც ამ უბანზე ძაბვა β -ქვესაფენი აღარაა საკმარისი ინვერსიისთვის. U_{β} -ის შემდგომი მომატებით კიდევ უფრო გაიზრდება გაღარიბების სისქე β -თან.

ხელსაწყო სამუშაო პარამეტრების უბანს, როცა არხი არსებობს β -სა და g -ს შორის, ეწოდება წრფივი უბანი, ხოლო უბანს, როცა არხი გადაიკეტა ეწოდება ნაჯერობის უბანი (არე). წრფივ უბანზე U_{β} -ს ზრდა იწვევს არხში დენის ზრდას.


ნაჯერობის უბანში დენი მუდმივია, მიუხედავად U_R -ს ზრდისა. U_R -ის ზრდა ხმარდება გაღარიბებული უბნის გაზრდას, ხოლო დენის ძალა განისაზღვრება დარჩენილი არხის ნაწილით. U_R -ს გაზრდით არხის სიგრძე რამდენიმეჯერ მცირდება, რადგან ყველა მხრივ იზრდება R -ქვესაფენის გარდამავალი უბანი. არხის სიგრძე მცირდება, მაგრამ ამასთან ერთად I_R რამდენადმე იზრდება. ეს მოვლენა იწოდება არხის სიგრძის მოდულაციით. ეს იმის მიზეზია, რომ მდნ-ხელსაწყოს აქვს სასრული გამოსავალი წინააღმდეგობის მნიშვნელობა.

ნახ.1.4-ზე მოცემულია n -არხიანი მდნ ტრანზისტორის გამდიდრების რეჟიმის მახასიათებელთა ოჯახი. წყვეტილი ხაზი გამოყოფს წრფივ უბანს ნაჯერი უბნისგან.

1.4. იზოლირებულ ჩამკეტის ველის ტრანზისტორის ვოლტ-ამპერული მახასიათებლები

დავუშვათ ღერძების მიმართულებები: არხის სიგრძე X , სიღრმე Y , სიგანე Z (ნახ.1.3). არხი $X=0$ იყოს g -დან და $X=L$ R -თან, სიგანე Z და დიელექტრიკის სისქე l . g და ქვეაფენი ჩამიწებულია, ჩამკეტზე დადებითი ძაბვაა $U_{R3} > U_{R4}$ ისე, რომ g -სა და R -ს შორის არის გამტარი არხი. g -დან, რომ წამოვიდნენ ძვრადი ელექტრონები და ჩავიდნენ R -ში, ე.ი. რომ გაიაროს დენმა, g -სა და R -ს შორის მოდებულია მცირე მნიშვნელობის ძაბვა.

არხსა და R -ს შორის არის ვერტიკალური ველი, არხში g -სა და R -ს შორის ჰორიზონტალური ველი. ამ ველების ურთიერთქმედების გამო ვოლტ-ამპერული მახასიათებლის ამოცანა ორგამზომილებიანია. შედეგები შეიძლება გამარტივდეს,



ნახ.1.4 n-არხიანი გამდიდრების რეჟიმში მომუშავე მდნ ტრანზისტორის ვოლტ-ამპერული მახასიათებელი ჩკ-ზე სხვადასხვა ძაბვისას.

თუ დავუშვებთ, რომ არხის სიღრმე არაა დიდი (მცირე სიღრმის არხი). არხში დენის პოვნისთვის განვიხილოთ ვერტიკალური ველი, შემდეგ ჰორიზონტალური და მოვნახოთ ფუნქცია I_B , როგორც $U_B(U_{B3})$, ე.ი. $I_B(U_B)$ და $I_B(U_{B3})$.

დავუშვათ არხში გ-დან X მანძილზე ძაბვა გ-სა და ჩ-ს შორის არის $U(x)$. დავუშვათ, რომ $U_{B3} > U_{ul}$, მაშინ დიელექტრიკში დაძაბულობა

$$E = \frac{1}{l} [U_{B3} - U(x) - U_{ul}] \quad (1.11)$$

ნახევარგამტარის წინაუბანში მუხტი ტოლია სივრცული მუხტისა და ძვრადი მუხტის ჯამისა. წონასწორობისას ეს მუხტი ტოლია ჩკ-ზე არსებული მუხტისა (სიდიდით). გაუსისი თეორიით - ველის დაძაბულობის სრული ვექტორის ნორმალური ჩკ-თან რიცხობრივად ზედაპირული მუხტის სიმკვრივის ტოლია. ამიტომ:

$$\epsilon_0 E = \dots_s(x) \quad (1.12)$$

სადაც, ϵ_0 - დიელექტრიკის დიელექტრიკული მუდმივაა და $\dots_s(x)$ - ზედაპირული მუხტის სიმკვრივე კ/სმ². (1.11) და (1.12)-დან ვღებულობთ:

$$\dots_s(x) = \frac{VV_0}{l} [U_{\beta_3} - U(x) - U_{\text{ზლ}}] \quad (1.13)$$

დავუშვათ, არხში y_0 სიღრმეზე მუხტის ვერტიკალური განაწილება ერთგვაროვანია, მაშინ მუხტის მოცულობითი სიმკვრივე:

$$\dots_0(x) = \frac{\dots_s(x)}{y_0} \quad (1.14)$$

$\dots_0(x)$ - არხში უარყოფითი იონებისა და ძვრადი ელექტრონების სიმკვრივეა. დავუშვათ, უარყოფითი იონების მუხტი ნაკლებია ელექტრონების მუხთან შედარებით (ეს დასაშვებია, რადგანაც დენს ქმნის ძვრადი ელექტრონები). არხის x წერტილში ხვედრითი გამტარებლობა იქნება:

$$\dagger_n(x) = \dots_0(x) \sim_{ns} = \frac{\dots_s \sim_{ns}}{y_0} \quad (1.15)$$

სადაც, \sim_{ns} - არხში ელექტრონების ზედაპირული ძვრადობაა. \sim_{ns} თითქმის 2-ჯერ უფრო მცირეა მოცულობაში ძვრადობასთან შედარებით, რომელიც გამოწვეულია ზედაპირული დონეებიდან დენის მატარებლების დამატებითი გაბნევით. დავუშვათ, მთელი არხის სიგრძეში \sim_{ns} - მუდმივია. (1.13) და (1.15) ფორმულები იძლევიან, რომ:

$$\dagger_n(x) = \frac{\sim_{ns} VV_0}{y_0 l} [U_{\beta_3} - U(x) - U_{\text{ზლ}}] \quad (1.16)$$

ომის კანონით:

$$I_n(x) = \dagger_n(x) E(x) = \dagger_n(x) \frac{dU(x)}{dx} \quad (1.17)$$

თუ ჩავთვლით, რომ არხში ძაბვის ჰორიზონტალური ვარდნით IR იცვლება მხოლოდ x მიმართულებით, მაშინ

$$J_n(x) = I_n(x) A \quad (1.18)$$

სადაც, A არხის განივი კვეთის ფართობია, რომელიც ნახ.1.3-დან ტოლია:

$$A = ZY_0 \quad (1.19)$$

I_n არხის ნებისმიერ x წერტილში უნდა იყოს მუდმივი, ანუ

$$I_{\beta} = J_n(x) = ZY_0 \dagger_n(x) \frac{dU(x)}{dx} \quad (1.20)$$

აქედან:

$$I_{\beta} dx = ZY_0 \dagger_n(x) dU(x) \quad (1.21)$$

(1.16) ფორმულის ჩასმა (1.21)-ში მოგვცემს:

$$I_{\beta} dx = \frac{Z_{ns} W_0}{l} [U_{\beta_3} - U(x) - U_{\beta_0}] dU(x) \quad (1.22)$$

ინტეგრება:

$$I_{\beta} \int_0^L dx = \frac{Z_{ns} W_0}{l} \int_0^U [U_{\beta_3} - U(x) - U_{\beta_0}] dU(x) \quad (1.23)$$

იძლევა, რომ:

$$I_{\beta} = \frac{Z_{ns} W_0}{Ll} [(U_{\beta_3} - U_{\beta_0}) U_{\beta} - \frac{1}{2} U_{\beta}^2] \quad (1.24)$$

ეს ფორმულა სამართლიანია იმ შემთხვევაში, როცა გ-სა და ჩ-ს შორის არხია, ანუ როცა

$$U_{\beta_3} > U_{\beta_0} \quad \text{და} \quad U_{\beta} < U_{\beta_3} - U_{\beta_0} \quad (1.25)$$

1.5. იზოლირებულ ჩამკეტიანი ველის ტრანზისტორის დიფერენციალური პარამეტრები

რეალური ვტ-ის შემთხვევაში ნაჯერობის რეჟიმისას არხში დენი მუდმივი კი არაა, არამედ ზრდადია, დახრილია აბსცისთა ღერძის მიმართ. რეალურად ჩამდენის დენი:

$$I'_{\beta} = I_{\beta} + I_{\beta 0} \quad (1.26)$$

სადაც, I_{β} - არხის დენია იდეალურ შემთხვევაში, რომელიც მმართველია რეალური დენისთვის, ხოლო

$$I_{\beta 0} = I_0 + I_{\beta \text{ გაქ}} \quad (1.27)$$

აქ I_0 - ჩქვესაფენის უბანზე $p-n$ გადასვლის უკუდენია, $I_{\beta \text{ გაქ}}$ - დიელექტრიკის გაჟონვის დენია ჩკ-სა და ჩ-ს შორის. U_{β} -ის ზრდით $I_{\beta 0}$ მცირედ იზრდება, რაც იწვევს ნაჯერობის რეჟიმში I_{β} -ს მცირე სიდიდით გაზრდას და მასზე დახრილობის გაჩენას. ეს მოცემულია ნახ. 1.4-ზე. ჩკ-ზე ძაბვის პოლარობა უნდა იყოს ინდუცირებულ არხში დენის ძირითადი მატარებლების ნიშნის საწინააღმდეგო.

ნახ.1.5-ზე მოცემულია ინდუცირებული n -არხიანი მდნ ტრანზისტორის რეალური ვოლტ-ამპერული გამოსავალი მახასიათებლების ოჯახი, ხოლო ნახ.1.6-ზე მისივე გარდამავალი, ანუ მართვითი მახასიათებელი.

ვტ-ში გამოსავალი დენი I_{β} იმართება შესავალი $U_{\beta 3}$ ძაბვით და და გაძლიერება ხასიათდება S დახრილობით:


$$S = dI_{\beta} / dU_{\beta 3}, \text{ როცა } U_{\beta} = \text{Const} \quad (1.28)$$

წრფივ უბანში დახრილობა ტოლი იქნება:

$$S = \frac{Z}{L} \sim_{ns} C_0 U_{\beta} \quad (1.29)$$


ხოლო ნაჯერობის უბანში:

$$S = \frac{Z}{L} \sim_{ns} C_0 (U_{\beta 3} - U_{\beta 0}) \quad (1.30)$$



ნახ. 1.5 ინდუცირებული n -არხიანი მდნ ტრანზისტორის რეალური

ვოლტ-ამპერული გამოსავალი მახასიათებლები.



ნახ. 1.6 ინდუცირებული n-არხიანი მდნ ტრანზისტორის გარდამავალი მახასიათებელი.

(1.29) და (1.30)-დან ჩანს, რომ დახრილობა იზრდება არხის სიგრძის, ზღურბლური ძაბვისა და დიელექტრიკის სისქის შემცირებით და არხში ძვრადობა, ჩკ-ზე ძაბვისა და არხის სიგანის გაზრდით.

პრაქტიკულად დახრილობა შეიძლება განისაზღვროს ნახ. 1.5 და ნახ. 1.6-დან. ნახ. 1.5-ზე აიღება რომელიმე $U_B = \text{Const}$ -ზე ΔI_B შესაბამის ორ მრუდს შორის მანძილი და შესაბამისი $\Delta U_{B,3}$. მაგალითად, $U_B = 5$ ვ-ზე ნახ. 1.5-დან ნაჯერობის უბანში აიღება $\Delta I_B = 28$ მკა და $\Delta U_{B,3} = 2$ ვ. $S = \frac{28}{2}$ მკა/ვ = 14 მკა/ვ. განზომილება ა/ვ = ომი⁻¹ = სმ („სიმსი“).

ასევე, წრფივ უბანში, მცირე U_B -თვის არხის, ანუ გამოსავალი გამტარებლობა განისაზღვრება ტოლობით:

$$g = dI_B/dU_{B,3} = 1/r, \text{ როცა } U_{B,3} = \text{Const} \quad (1.31)$$

ეს არის აგრეთვე არხის წინააღმდეგობის შებრუნებული სიდიდე.

წრფივი უბნისთვის მიიღება, რომ:

$$g = \frac{Z}{L} \sim_{ns} C_0 (U_{B,3} - U_{ზღ}) \quad (1.32)$$

აქედან ჩანს არხის გამტარებლობის გაზრდის გზები. ნაჯერობის რეჟიმში მუშაობისას გამოსავლო დენი არ იცვლება და ცხადია $g=0$, შესაბამისად არხის წინააღმდეგობა $r = \infty$. მაგრამ, ცნობილია, რომ ნაჯერობის უბანში გამტარი არხის სიგრძის შემცირების გამო არხის r წინააღმდეგობა დიდია, მაგრამ არა უსასრულო და შესაბამისად I'

β -ს აქვს დახრა. პრაქტიკულად, ნახ.3-დან მოცემულ $U_{\beta_3} = \text{Const}$ -თვის მოიძებნება ნაჯერობის უბანში ΔU_{β} და შესაბამისი $\Delta I'_{\beta}$. მაგალითად, $U_{\beta_3} = +6$ ვ-ზე, $\Delta U_{\beta} = 7$ ვ და $\Delta I'_{\beta} = (42-38) \text{ მკა} = 4 \text{ მკა}$ და მიიღება $g = \frac{4}{7} \text{ მკსმ} \approx 0,57 \text{ მკსმ}$, ხოლო $r = 1,7 \cdot 10^4$ ომი.

სტატისტიკური გაძლიერების კოეფიციენტი განისაზღვრება:

$$\mu = dU_{\beta} / dU_{\beta_3} \text{ როცა } I_{\beta} = \text{Const} \quad (1.33)$$

პრაქტიკულად, ნახ. 1.5-ზე აიღება $I_{\beta} = \text{Const}$ და შესაბამისად ΔU_{β} და ΔU_{β_3} -ის პოვნით განისაზღვრება (1.33)-ით გაძლიერების კოეფიციენტი. მაგალითად, $I_{\beta} = 38 \text{ მკა}$, $\Delta U_{\beta_3} = (8-6) \text{ ვ} = 2 \text{ ვ}$, შესაბამისად აიღება $\Delta U_{\beta} = (5-2) \text{ ვ} = 3 \text{ ვ}$ და მიიღება $\mu = \frac{3}{2} = 1,5$.


ვტ-ის ერთ-ერთი მახასიათებელია ზღბრული $U_{\text{ზღ}}$ ძაბვის სიდიდე, რომლის ცვლილება შეიძლება (1.10) ფორმულით. ის შეიძლება პრაქტიკულად განისაზღვროს. ზღბრული ძაბვა - ესაა ძაბვა ჩამკეტზე, როცა დენი ჩამდენზე იღებს რაგინდ მცირე მნიშვნელობას. მაგალითად, ანათვალთ აიღება $I_{\beta}(U_{\beta_3})$ -ზე (ნახ. 1.6), როცა $I_{\beta} \geq 0$, მაშინ $U_{\beta_3} = U_{\text{ზღ}}$ (ნახ. 1.6-ზე $U_{\text{ზღ}} \approx 1,7$ ვ).

1.6. ორჩამკეტიანი ველის ტრანზისტორი

უკანასკნელ ხანს დიდი განვითარება მოიპოვა, ძირითადად მდნ ტიპის სახის მძლავრმა ველის ტრანზისტორებმა [57-58]. ისინი შედგებიან დაბალი სიმძლავრის რამდენიმე სტრუქტურისაგან ან ჩამკეტის განშლადი კონფიგურაციის სტრუქტურებისგან, რომელმაც გახადა შესაძლებელი შეექმნათ მძლავრი გასაღებები (იმპულსური) სპეციალური სტრუქტურის ველით ტრანზისტორებზე. ასეთი ხელსაწყოები იმართებიან მცირე (~ 5 ვ) ძაბვებით, ღია რეჟიმში აქვთ მცირე წინაღობა ($\sim 0,001$ ომი), დიდი დახრილობა და მცირე (რამდენიმე ათეული ნანოწამი) გადართვის დრო. ორჩამკეტიანმა ველით ტრანზისტორის შექმნამ მკვეთრად გაამარტივა მაღალსიხშირული გაძლიერების სქემები [59].


ორჩამკეტიანმა ველის ტრანზისტორმა (ოვტ) - ველის ტეტროდმა - ფართო გავრცელება მოიპოვა მაღალსიხშირულ (მს) და ზემადალსიხშირულ (ზმს)

გამდიერების სქემებში. ოვტ-ში ჩამკეტები მოთავსებულია გამომდენსა და ჩამდენს შორის. ორი ჩამკეტის გამოყენება, რომლებსაც დამოუკიდებლად შეუძლიათ არხის სისქის შეცვლა და შესაბამისად, ახდენენ მათში დენის მატარებლების ნაკადის რეგულირებას, საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გააფართოვოს ველის ტრანზისტორის ფუნქციონალური შესაძლებლობები (ნახ.1.7). განასხვავებენ ოვტ-ს არხის სხვადასხვა მხარეს ორი ჩამკეტით (ჰორიზონტალური, მოდულირებს არხის ერთ განივკვეთს) და არხის ერთ მხარეს (ვერტიკალური, მოდულირებს არხის ორ განივკვეთს). გამამდიერებლების შექმნაში ოვტ-ის კონსტრუქციულმა სახემ მისცა მას უპირატესობები სხვა ტიპის ტრანზისტორებთან შედარებით. ოვტ გამოიყენებიან მაღალსიხშირულ გამამდიერებლებში (აქვთ სიმძლავრის უფრო დიდი გამდიერების კოეფიციენტი, ვიდრე ერთჩამკეტიან ველის ტრანზისტორებს), სიხშირის გარდამქმნელებში (შემრეველებში, სიხშირეთა გამრავლებისა და დაყოფის ფუნქციის რეალიზაციისთვის), მკვეთრად ზრდიან ინტეგრაციის ხარისხს და ა.შ.



ნახ. 1.7 n ინდუცირებულ ორარხიანი მდნ-ველის ტრანზისტორის სტრუქტურის ძირითადი ელემენტები.

მაღალსიხშირულ რადიოგადაცემის აპარატურაში ხარისხის ძირითად კრიტერიუმად ითვლება ჰარმონიკის დასაშვები დონე და შემადგენლობის ინტერმოდულაციურობა (შიმ) [60]. ამიტომ ოვტ-ს მაღალწრფივული გენერატორული სტრუქტურის ტოპოლოგიის კონსტრუქციისა და გათვლისთვის საჭიროა შეირჩეს შიმ-ით დინამიკური დიაპაზონის მესამე ხარისხი (შიმ³). გამამდიერებლის სქემის ანალიზის ძირითად საშუალებისთვის გამოიყენებენ ოვტ-ს წრფივ და არაწრფივ მოდელებს, რომელთა შორის აღებულია ბაზური (ნახ.1.8) [61-62].



ნახ. 1.8 ბაზური ორჩამკეტიანი ველითი ტრანზისტორის მოდელი.

გ- გამომდენი; ჩ-ჩამდენი; ჩ_{კ1} და ჩ_{კ2} – პირველი და მეორე ჩამკეტებია;
 U-ს და R-ის ინდექსები მიუთითებენ 1 და 2 ტრანზისტორების ძაბვებს
 და წინაღობებს შესაბამისად.

ოვტ-ს წარმოდგენა, როგორც ორი ჩ_{კ1} და ჩ_{კ2} ერთჩამკეტიანი ველით ტრანზისტორების მიმდევრობითი შეერთება კარგად ხსნის ოვტ-ში მიმდინარე არაწრფივი პროცესების მიმდინარეობის თავისებურებებს. ნახ. 1.8-ზე $U_{\beta\beta1}$, $U_{\beta\beta2}$, $U_{\delta1}$, $U_{\delta2}$ - ძაბვაა საერთო გამომდენსა და შესაბამის პირველ და მეორე ტრანზისტორის ჩამკეტებს შორის, პირველ და მეორე ტრანზისტორის გამომდენების; $U_{\beta1}$, $U_{\beta2}$ - პირველი და მეორე ტრანზისტორის ჩამდენი და გამომდენი უბნების ძაბვებია შესაბამისად; $U_{\beta\delta}$ - ძაბვაა ჩამდენსა და გამომდენს შორის; R_{δ} და R_{β} - გამომდენის და ჩამდენის წინააღმდეგობებია შესაბამისად; R_{12} - პირველ და მეორე ტრანზისტორს შორის არხის წინააღმდეგობაა.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ გამოსაკვლევ მოდელში ყველა ელემენტი არაწრფივია. მაგრამ, პირველ მიახლოებაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ არაწრფივი ეფექტების ძირითადი წყაროა დახრილობა $S = \frac{dI}{dU}$, სადაც I გამომდენის დენია და U პირველი ტრანზისტორის ჩამკეტ-გამომდენის ძაბვა. ამ დროს ჰარმონიკის დონე და შიმ ლუწი და კენტი რიგებისთვის განისაზღვრება შესაბამისი S დახრილობით. საინტერესოა შემთხვევა, როცა პირველი S' და მეორე S'' დებულებებზე ნულოვან მნიშვნელობას. ამ შემთხვევაში მიიღება მეორე და მესამე ჰარმონიკი ან მეორე და მესამე შიმ.

რადგანაც ოვტ-ის მოდელი წარმოდგენილია ორი ერთჩამკეტიანი ველის ტრანზისტორის მიმდევრობითი შეერთებით, ამიტომ პირველი $R_{კ1}$ და მეორე $R_{კ2}$ -ის შესაბამისი დახრილობები შეიძლება განისაზღვროს ვოლტ-ამპერულ უბანში მომუშავე დახრილ და ნაჯერობის უბანში მომუშავე ერთჩამკეტიანი ტრანზისტორის დახრილობიდან.

რადგანაც ოვტ-ის საბოლოო, შემაჯამებელი დახრილობა დამოკიდებულია პირველის და მეორეს დახრილობაზე, ამიტომ აქაც საინტერესოა ის შემთხვევა, როცა პირველი S' და მეორე S'' ღებულობენ ნულოვან მნიშვნელობებს. რთული ელექტრული გამოთვლების შემდეგ მიიღება, რომ ამ შემთხვევაში:


$$S'' = -\frac{3U_0 - U_{12}}{2R_{02}U_{12}} \quad (1.34)$$

და

$$S' = -\frac{U_{12}}{U_{11}R_{01}}, \quad (1.35)$$

სადაც, U_0, U_{12}, U_{11} არიან შესაბამისად გამომდენ ჩამდენის, მეორეს გამომდენის და პირველი გამომდენის ძაბვები, R_{01} და R_{02} პირველი და მეორეს გამომდენ ჩამდენის წინააღმდეგობები.

მაშასადამე, (1.34) და (1.35) გამოსახულებები ამყარებენ საჭირო თანაფარდობას პირველ და მეორე ჩამკეტის დახრილობებსა და ტრანზისტორის ორივე არხის პარამეტრებთან. ყველა ეს პარამეტრები შეიძლება განხორციელდეს ტექნოლოგიური გზით. ეს მოდელი დამტკიცებულია ექსპერიმენტულად.



ნახ. 1.9 ორჩამკეტიანი ველითი ტრანზისტორის სქემატური გამოსახვა.

ორჩამკვეტიანი ველითი ტრანზისტორის სქემატური გამოსახვა მოცემულია ნახ.1.9-ზე. ამ ნახაზზე გ-გამომდენია; ქს - ქვესაფენი, რომელიც შეერთებულია გამომდენთან და ჩამიწებულია; ჩ - ჩამდენი; ჩკ₁-პირველი ჩამკვეტი და ჩკ₂ - მეორე ჩამკვეტი.

2. ექსპერიმენტული მეთოდები

2.1. თხელი ფირების ფორმირების ტექნოლოგიური პროცესები


2.1.1. საფენის ზედაპირის ქიმიური დამუშავება

მიკროელექტრონიკაში ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს ნიმუშების ქიმიური დამუშავება, როგორც ექსპერიმენტების დაწყების წინ, ასევე მისი დამთავრების შემდეგ [63-66]. ექსპერიმენტული პროცესების ჩატარებისთვის ქვესაფენებად გამოყენებულ იყო 300მკმ სისქის და p-ტიპის სილიციუმის ფირფიტები, ხვედრითი წინააღმდეგობებით 10ომი-სმ, ყველა ფირფიტას ჰქონდა [100] ზედაპირული ორიენტაცია და იყვნენ დამუშავებული 14 კლასის სისუფთავით, ეპიტაქსიური გალიუმის არსენიდის ფირფიტები ელექტრონების კონცენტრაციით $2 \cdot 10^{17} \text{სმ}^{-3}$ და [100] ზედაპირული ორიენტაციით. სტიმულირებული პროცესებით მიღებული იქნა Si-ზე: HfO_2 , TiO_2 და ZrO_2 და GaAs-ზე საკუთარი ოქსიდი $x\text{Ga}_2\text{O}_3 + y\text{As}_2\text{O}_3$.


ოქსიდური ფირფიტების ფორმირებამდე ტარდებოდა ქვესაფენების ზედაპირების სტანდარტული ქიმიური დამუშავება. ცნობილია [67], რომ სილიციუმის ზედაპირზე ოთახის ტემპერატურაზე ფორმირდება რამდენიმე ატომური ფენა სილიციუმის „საკუთარი ჟანგი“, ზედაპირზე გაუწყვილებელი ბმების ხარჯზე. ასევე შესაძლებელია ზედაპირზე ატმოსფეროდან ან რაიმე ზედაპირიდან მოხვდეს მტვრის და ცხიმის ნაწილაკები. ამიტომ ზედაპირის გაწმენდას უშუალოდ ექსპერიმენტის ჩატარების წინ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათზე დაფენილი ან ფორმირებული მაღალი ხარისხის ფირების მიღებისათვის.

ა) სილიციუმის ზედაპირის უშუალოდ ქიმიური გასუფთავება მიმდინარეობს შემდეგი საფეხურების მიხედვით:

- 1) **განცხიმვა** ცხელ ორგანულ გამხსნელებში (აცეტონი, იზოპროპილის სპირტი), 5-10 წუთის განმავლობაში. ამ ეტაპზე ნიმუშის ზედაპირიდან ხდება ცხიმოვანი ბუნების მინარევების მოცილება [68].
- 2) **გარეცხვა** გამდინარე დეიონიზირებულ წყალში ორგანული გამხსნელების მოსაცილებლად, 5-10 წუთის განმავლობაში.
- 3) **ქიმიური დამუშავება ხსნარებში** [69]:




5 წუთის განმავლობაში, 45°C ტემპერატურაზე, შემდგომი გარეცხვით გამდინარე დეიონიზირებულ წყალში;



5 წუთის განმავლობაში, 45°C ტემპერატურაზე, შემდგომი გარეცხვით გამდინარე დეიონიზირებულ წყალში.

4) დეკოპირება - სილიციუმის ზედაპირიდან თხელი ჟანგის მოხსნა



5-10 წამის განმავლობაში და შემდგომი გარეცხვა გამდინარე დეიონიზირებულ წყალში;

- 5) ჰიდრომექანიკური გარეცხვა დეიონიზირებულ წყალში ცენტრიფუგით;
- 6) გაშრობა 1 წუთის განმავლობაში 2000 ბრ/წთ მბრუნავ ცენტრიფუგაზე;
- 7) ზედაპირების ვიზუალური კონტროლი MBC-10 მიკროსკოპით.

ქიმიური დამუშავების ამ ეტაპების გავლის შემდეგ ქვესაფენი (სილიციუმი) მომზადებულია მასზე ტექნოლოგიური პროცესების ჩასატარებლად.

ბ) GaAs–ის ზედაპირის მომზადებას უშუალოდ მასზე ოქსიდის ფორმირების წინ აქვს დიდი მნიშვნელობა [70]. უფრო ხშირად გამოიყენება ზედაპირის გაწმენდა მჟავების და ტუტეების ხსნარებში. ელექტროქიმიური გაწმენდა იშვიათად გამოიყენება, რადგან ის იწვევს ოქსიდში მუხტის ზრდას და შესაბამისად მახასიათებლების მკვეთრ გაუარესებას.

ექსპერიმენტისთვის გამოყენებულ იყო GaAs–ის ეპიტაქსიური ფირები, n- ტიპის, დენის მატარებელთა კონცენტრაციით $2 \cdot 10^{17} \text{ სმ}^{-3}$, ზედაპირის ორიენტაციით [100].

შედარებით თხელი $\sim 16 \text{ \AA}$ სისქის „საკუთარი“ ოქსიდური ფენა რჩება GaAs–ის ზედაპირის გაწმენდით მდულარე ტოლუოლში 5 წუთის განმავლობაში, შემდეგ გამდინარე დეიონიზირებულ წყალში გარეცხვა 10 წუთის განმავლობაში, მოწამვლით HCl:H₂O=5:3 ხსნარში 2 წუთის განმავლობაში, შემდეგ გამდინარე დეიონიზირებულ წყალში გარეცხვა 10 წუთის განმავლობაში [71]. ასეთი დამუშავების შემდეგ 72 საათის განმავლობაში ჰაერზე ყოფნისას ზედაპირზე ჩნდება $\sim 39 \text{ \AA}$ სისქის „საკუთარი“ ოქსიდური ფენა. GaAs–ის ზედაპირის დამუშავებისას NaOH:H₂O₂=15:10 უფრო მეტად იჟანგება დარიშხანი, ვიდრე გალიუმი.


ოპტიმალური შედეგები მიიღება GaAs–ის ზედაპირის გაცხიმვით სამქლორიან ეთილში, აცეტონში, დაჟანგვა პლაზმაში 200 Å სისქემდე, შემდეგ მოწამვლა HCl–ში,

გამდინარე დეიონიზირებულ წყლში გარეცხვა 10 წუთის განმავლობაში, მოწამვლა $H_2SO_4: H_2O_2:H_2O=3:1:1$ მდუღარე ხსნარში 2 წუთის განმავლობაში და შემდეგ იგივე ხსნარში ოთახის ტემპერატურაზე, გამდინარე დეიონიზირებულ წყლში გარეცხვა 15 წუთის განმავლობაში. სასურველია ოქსიდირების წინ $GaAs$ -ის მეორე, არასამუშაო მხარე დაიფაროს მეტალის ფენით ოქსიდის სისქის ერთგვაროვნების მისაღწევად.

$GaAs$ -ის ზედაპირის ქიმიური გასუფთავება [72] მიმდინარეობს შემდეგი საფეხურების მიხედვით:

1) *განცხიმვა* ცხელ ორგანულ გამხსნელებში (ტოლუოლი, იზოპროპილის სპირტი), 5-10 წუთის განმავლობაში. ამ ეტაპზე ნიმუშის ზედაპირიდან ხდება ცხიმოვანი ბუნების მინარევების მოცილება. შემდგომი გარეცხვა გამდინარე დეიონიზირებულ წყალში;

2) დეკაპირება პროცესის წინ - ზედაპირიდან თხელი ჟანგის მოხსნა ხსნარში:



გარეცხვა გამდინარე დეიონიზირებულ წყალში;

3) *გაშრობა* 1 წუთის განმავლობაში 2000 ბრ/წთ მბრუნავ ცენტრიფუგაზე.

4) თხელი $\sim 16\text{\AA}$ სისქის „საკუთარი“ ოქსიდური ფენა იხსნება $GaAs$ -ის ზედაპირის გაწმენდით მდუღარე ტოლუოლში 5 წუთის განმავლობაში, შემდეგ გამდინარე დეიონიზირებულ წყლში გარეცხვა 10 წუთის განმავლობაში, მოწამვლით $HCl:H_2O=5:3$ ხსნარში 2 წუთის განმავლობაში, შემდეგ გამდინარე დეიონიზირებულ წყლში გარეცხვა 10 წუთის განმავლობაში [73]. ასეთი დამუშავების შემდეგ $GaAs$ -ის ზედაპირის დამუშავებისას $NaOH:H_2O_2=15:10$ უფრო მეტად იჟანგება დარიშხანი, ვიდრე გალიუმი და ტარდება სტადია I. ოპტიმალური შედეგები მიიღება როცა ხდება $GaAs$ -ის ზედაპირის დაჟანგვა პლაზმაში 200 \AA სისქემდე, შემდეგ მოწამვლა HCl -ში, გამდინარე დეიონიზირებულ წყლში გარეცხვა 10 წუთის განმავლობაში, მოწამვლა $H_2SO_4: H_2O_2:H_2O=3:1:1$ მდუღარე ხსნარში 2 წუთის განმავლობაში და შემდეგ იგივე ხსნარში ოთახის ტემპერატურაზე, გამდინარე დეიონიზირებულ წყლში გარეცხვა 15 წუთის განმავლობაში [74-75].

2.1.2. ფოტოლიტოგრაფია

ფოტოლიტოგრაფია, ანუ ე.წ. ოპტიკური ლიტოგრაფია ან ულტრაიისფერი (უი) ლიტოგრაფია არის პროცესი, რომელიც გამოიყენება მიკრო სტრუქტურების ფორმირებაში გარკვეული სურათის გასატანად თხელი ან მოცულობითი ფირების ზედაპირზე (ნახ. 2.1) [76]. ამ პროცესში სინათლის გამოყენებით სურათი გადაიტანება ფოტომაზლონიდან სპეციალურ სინათლის მგრძობიარე ქიმიურ ნივთიერებაზე - ფოტორეზისტზე, რომელიც დაფენილია ნიმუშზე (სურ.1). შემდგომი ექსპონირებით, ქიმიური დამუშავებით და სასურველი მასალის დაფენით შესაძლებელია ფოტორეზისტის ქვეშ მიღებულ იქნას ფოტომაზლონის შესაბამისი სურათი. მაგალითად, თანამედროვე კომპლექსური ინტეგრირებული სქემების წარმოებაში გამოიყენება ფოტოლიტოგრაფია, რომელიც მოიცავს 50 ციკლს.

ფოტოლიტოგრაფია ახლოს არის ფოტოგრაფიის ფუნდამენტურ პრინციპებთან იმით, რომ სურათი მიიღება ფოტორეზისტზე სინათლის მოქმედების შედეგად და შემდეგ გამჟღავნებით (ფოტორეზისტის ქიმიური მოწამვლა).

სინათლე შეიძლება მოხვდეს ფოტორეზისტზე ფოტომაზლონის გავლით ან მის გარეშე. პროცესს, რომელიც მიმდინარეობს ფოტომაზლონის გარეშე ახასიათებს დიდი სიზუსტე, ფორმის სიმკვეთრე და მარალი გარჩევისუნარიანობა. ის უზრუნველყოფს ზუსტ კონტროლს სურათის ფორმასა და ზომას მთელ ზედაპირზე, მაგრამ მას გააჩნია ერთი ნაკლოვანი მხარე: მას შეუძლია დაამუშაოს ბრტყელი ზედაპირები და მოითხოვს ექსტრემალურად სუფთა პირობებს [77].

ფოტოლიტოგრაფიის საფეხურები:

ა) ზედაპირის გასუფთავება


თუ ზედაპირზე არის ორგანული ან არაორგანული ნაერთები, ისინი უნდა მოიხსნას ქიმიური დამუშავებით. მაგალითად, ხსნარებში, რომლებიც შეიცავენ წყალბადის პეროქსიდს.

ბ) ფირფიტის მოზადება საწყის ეტაპზე ფირფიტა უნდა გაცხელდეს გარკვეულ ტემპერატურამდე იმისათვის, რომ ზედაპირიდან მოხდეს წყლის ორთლის მოცილება. ფირფიტები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა საჭიროა მათი ქიმიური დამუშავება, რათა ზედაპირიდან მოიხსნას ყოველგვარი დაბინძურება.

გ) ფოტორეზისტის გამოყენება. ფირფიტაზე ეფინება ფოტორეზისტი ცენტრიფუგის საშუალებით (სურ.2.2). ფოტორეზისტი არის ბლანტი, თხევადისითხე,

რომელიც ეწვეთება მარალი სიჩქარით მზრუნავ ფირფიტაზე და იშლება მთელ მის ზედაპირზე ერთგვაროვანი ფენის სახით. ფირფიტა ბრუნავს 1200-4800 ბრ/წთ სიჩქარით 30-60 წამის განმავლობაში. ამ დროს მიღებული ფოტორეზისტის სისქეებია 0.5-2.5 მკმ.

მზრუნავი სისტემის გამო მიიღება ერთგვაროვანი სისქის ფოტორეზისტი 5-10ნმ-ის სიზუსტით [78]. ასეთი ერთგვაროვნება აიხსნება იმით, რომ ფოტორეზისტის ქვედა ფენები უფრო ნელა მოძრაობენ, ვიდრე ზედა ფენები. ამიტომ ზედა ფენების სწრაფი მოძრაობის გამო ზედმეტი ნაწილები წყდება ფირფიტას, ქვედა ფენები კი უფრო მჭიდროდ არიან შექვებულნი ფირფიტას და ნელი მოძრაობის გამო რადიალური მიმართულებით ქმნიან საკმაოდ ერთგვაროვან ბრტყელ ზედაპირს.



სურ. 2.1 ფოტოლიტოგრაფიის პროცედურული წარმოსახვა



სურ. 2.2 ფოტორეზისტის დაფენა

საბოლოო სისქე განისაზღვრება ფოტორეზისტიდან ხსნარის აორთქლებით. ბოლო პროცედურა ფოტორეზისტის დაფენისა არის მისი გამოწვა $90-100^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე 30-60 წამის განმავლობაში ბრტყელი ზედაპირის მქონე გამახურებელზე [79].

დ) *ექსპოზიცია და გამჟღავნება*. ფოტორეზისტიტის გამოშრობის შემდეგ ხდება ექსპოზიცია ანუ დასხივება [80]. დასხივდება ის არეები, რომლებიც შეესაბამება ფოტომაბლონს. დასხივებული არეების ქიმიური თვისებები იცვლება, რაც იმას ნიშნავს, რომ სპეციალურ ხსნარში, გამაჟღავნებელში, მოთავსების შემდეგ ეს არეები იხსნება ხსნარში და რჩება დაუსხივებელი ფოტორეზისტი. არსებობს ფოტორეზისტის ორი სახეობა: პოზიტიური და ნეგატიური. პოზიტიური ფოტორეზისტის შემთხვევაში ხდება დასხივებული არეების გამჟღავნება, რადგან ქიმიურად არამდგრადი ხდება, ხოლო ნეგატიურის შემთხვევაში დასხივებული არეები ქიმიურად მდგრადი ხდება და სხვა გამაჟღავნებელში იხსნება დაუსხივებელი ფოტორეზისტის არეები. არსებობს ფოტორეზისტები, რომლებიც გასხივების რეჟიმების, ტემპერატურის და გამოშრობის დროის მიხედვით იქცევიან, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ფოტორეზისტები.

გამაჟღავნებელი (სურ.2.3) ჩვეულებრივ შეიცავს ნატრიუმის ჰიდროქსიდს (NaOH), მაგრამ როგორც კვლევებმა აჩვენა ნატრიუმი არასასურველი ნივთიერებაა ველის ტრანზისტორების წარმოებაში გამოსაყენებლად. იგი დეგრადაციას უკეთებს დიელექტრიკის თვისებებს, მიგრირებენ დიელექტრიკში ამცირებენ გარღვევის ძაბვის მნიშვნელობას, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ველის ტრანზისტორებისათვის. ამიტომ, იყენებენ ტეტრაეთილამონიუმის ჰიდროქსიდს, რომელიც თავისუფალია მეტალური იონებისაგან.

გამაჟღავნების შემდეგ ხდება რეზისტის ძლიერი გამოშრობა 120-180°C ტემპერატურაზე 20-30 წუთის განმავლობაში [81]. ამ ეტაპის მიზანია რეზისტის საკმაოდ გამოშრობა და გამაგრება, რათა გაუძლოს ხანგრძლივ ქიმიურ დამუშავებას, იონების იმპლანტაციას, პლაზმურ დამუშავებას.

ე) მოწამვლა. მოწამვლა არსებობს ორი სახის: სველი ანუ ქიმიური და მშრალი ანუ პლაზმური მოწამვლა. ქიმიური რეაგენტი ნიმუშს მოაცილებს ზედა ფენებს, რომლებიც არ არიან დაცულნი ფოტორეზისტის მიერ. ნახევარგამტარულ წარმოებაში ფართოდ არის გავრცელებული მშრალი მოწამვლა. იგი გამოირჩევა მოწამვლის ანიზოტროპულობით, რაც ხელს უწყობს არასასურველი ადგილების მოწამვლას და მხოლოდ ერთი მიმართულებით ხდება მოწამვლა. ამ დროს სისქის კონტროლი შესაძლებელია დიდისიზუსტით. სველი მოწამვლა უმთავრესად იზოტროპულია [82].

ვ) ფოტორეზისტის მოცილება. შემდგომი პროცესების განმავლობაში რეზისტი აღარ არის საჭირო, ამიტომ ის უნდა მოიხსნას ნიმუშის ზედაპირიდან. შესაძლებელია ქიმიურად ხსნარში მოწამვლით ან პლაზმურად. პლაზმა უნდა შეიცავდეს ჟანგბადის იონებს, რადგან ისინი ჟანგავს რეზისტს და მიიღება მფრინავი ნაერთი, რომელიც თავის მხრივ ვაკუუმური ტუმბოს მიერ გამოიქაჩება ვაკუუმური კამერიდან.

ზ) ფოტოშაბლონი. სურათი, რომელიც დაიხატება ფოტოშაბლონზე (სურ.2.4) იქმნება კომპიუტერული პროგრამით. შემდეგ ეს სურათი მრავლდება და გადაიტანება კვარცის ფირფიტაზე, რომელიც დაფარულია ქრომით. სანამ სურათის გადატანა მოხდება, ფოტოშაბლონი დაფარული ქრომით იფარება ფოტორეზისტით. ექსპოზიციის დროს, რომელიც ხორციელდება ან ლაზერით ან ელექტრონებით, დამუშავდება ფოტორეზისტის ის უბნები, რომლებიც იყო დახატული


კომპიუტერულ პროგრამაში. შედეგად, დასხივებული რეზისტის გამჟღავნების შემდეგ იწამლება ქრომი და რჩება გამჭვირვალე კვარცის უბნები, რომლებშიც შემდგომ გაივლის სინათლის სხივი.

თ) რეზოლუცია. სუფთა სურათის პროექციის შესაძლებლობები მცირე მასშტაბებში შეზღუდულია სინათლის ტალღის სიგრძეებით, რომლებიც გამოიყენება ფოტოლიტოგრაფიაში. ასევე შეზღუდულია მაფოკუსირებელი ლინზის შესაძლებლობები. თანამედროვე ფოტოლიტოგრაფიაში გამოიყენება ღრმა ულტრაიისფერი გამოსხივება, რომელსაც იძლევა ე.წ. ექსიმერული ლაზერი ტალღის სიგრძეებით 248-193 ნმ. ეს გამოსხივება საშუალებას იძლევა მივიღოთ 50 ნმ სიდიდის გამოსახულება.


გამოსახულების მინიმალური ზომა, რომელსაც იძლევა მაპროექცირებელი სისტემა გამოითვლება შემდეგნაირად [83]:

$$CD = K\lambda/NA \quad (2.5)$$

სადაც, CD არის გამოსახულების მინიმალური ზომა (Critical Dimension), K - პროცესთან დაკავშირებული კოეფიციენტი რომელიც ყოველთვის 0,4-ის ტოლია, λ –



სურ. 2.3 ფოტორეზისტის ექსპონირება



სურ. 2.4 ფოტომაზონი

სინათლის ტალღის სიგრძე, რომელიც გამოიყენება ლიტოგრაფიაში, NA - ლინზის მახასიათებელი სიდიდე, რომელიც დამოკიდებულია ლინზიდან სინათლის გაშლის კუთხეზე და განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$NA = n \times \sin\theta \quad (2.6)$$

n - ლინზის გარდატეხის მაჩვენებელია, θ - სფერული კუთხე. როგორც ფორმულიდან ჩანს, რაც უფრო მცირეა ტალღის სიგრძე, მით უფრო მცირე ზომის გამოსახულების მიღებაა შესაძლებელი.

სინათლის წყაროები:

ისტორიულად, ფოტოლიტოგრაფია იყენებდა ულტრაიისფერ სინათლეს, რომელიც მიიღებოდა გაზის განმუხტვის ნათურებში ვერცხლისწყლის გამოყენებით, ზოგჯერ კი კეთილშობილურ აირებთან ერთად, როგორცაა ქსენონი [84]. ეს ნათურები იძლეოდა ულტრაიისფერი გამოსხივების სპექტრის რამდენიმე მკვეთრ პიკს. ამ სპექტრის გაფილტვრის შემდეგ შეირჩეოდა ერთი სპექტრალური ხაზი. 1960-1980 წლებში Hg -ის ნათურები გამოყენებული იყო ლიტოგრაფიაში მათი სპექტრალური ხაზებით 436ნმ, 405ნმ და 365ნმ. თუმცა, ნახევარგამტარული ინდუსტრიის საჭიროებიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა უფრო მაღალი

გარჩევადობა (მაღალი ინტეგრაცია და სწრაფქმედება) და დაბალი საწარმოო ხარჯები. ამ მოთხოვნებს კი აღნიშნული ნათურები ვედარ აკმაყოფილებდნენ [85].

ამ ტექნოლოგიურ გამოწვევებს პასუხი გასცა 1982 წელს შემოთავაზებულმა ახალი ტიპის სინათლის წყარომ ე.წ. ექსიმერულმა ლაზერებმა, რომლის პრეზენტაციაც შედგა IBM -ის კორპორაციაში კანტი ჯეინის მიერ. თანამედროვე ეპოქაში ექსიმერული ლაზერული ლიტოგრაფიის დანადგარებს იყენებენ მიკროელექტრონული ხელსაწყოების წარმოებისათვის. ტექნოლოგიური ხელსაწყოების ფენომენალური განვითარების წყალობით გასული ორი ათეული წლის განმავლობაში ექსიმერული ლაზერული ლიტოგრაფია ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა მცირე ზომის გამოსახულების ფორმირების საქმეში. 1990-2010 წლებში ზომები შემცირდა 0,5მკმ-დან 45ნმ-მდე. ეს ტენდენცია გრძელდება და გამოსახულების ზომა მიაღწევს 10ნმ-ს.

ლიტოგრაფიის სისტემებში საწუველთაოდ გამოყენებული ღრმა ულტრაიისფერი ექსიმერული ლაზერები არის კრიპტონის ფლუორიდი - 248ნმ და არგონის ფლუორიდი - 193ნმ ტალღის სიგრძეებით. სართოდ, ექსიმერული ლაზერები განკუთვნილია კონკრეტული გაზის ნარევისთვის, ამიტომ, ტალღის სიგრძის ცვლილება არ არის ტრივიელური საკითხი, რადგან ახალი სიგრძის სინათლის ტალღის წარმოება აბსოლუტურად განსხვავებულია და განსხვავებულია თვით ნივთიერების მიერ სინათლის შთანთქმის მოვლენაც. მაგალითად, ჰაერი სინათლეს შთანთქავს 193ნმ-ის ფარგლებში, ამ ნიშნულის ქვემოთ საჭირო ხდება ვაკუუმური სისტემის გამოყენება ფოტოლიტოგრაფიის პროცესისას, ეს კი დიდი გამოწვევაა ტექნოლოგიების წინაშე. უფრო მეტიც, დიელექტრიკული მასალის სილიციუმის დიოქსიდის (SiO_2) გამოყენება და მისი ექსპონირება ხდება მისი აკრძალულ ზონაზე მაღალი ენერჯის ფოტონებით, მაშინ ხდება ელექტრონების და ხვრელების გენერაცია და მიიღება უარყოფითი მუხტი. ამასთან, ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ამ მიზნით სწრაფი განვითარება ჰპოვა ე.წ. ექსიმერულმა ნათურებმა, რომლებმაც გარკვეული უპირატესობები შეიძინა სხვა ულტრაიისფერი გამოსხივების წყაროებთან შედარებით. ოპტიკური ლიტოგრაფია განვითარდა და მიაღწია გამოსახულების ზომას <50ნმ, რისთვისაც გამოყენებულ იქნა ArF ექსიმერული ლაზერი [86] ტალღის სიგრძით 193ნმ და თხევადი სისტემა „immersion techniques“. ეს

სისტენა გულისხმობს, რომ სინათლე ლინზების სისტემის შემდეგ გაივლის სითხეს და შემდეგ ხვდება ფოტორეზისტზე. ეს ტექნიკა საშუალებას იძლევა NA კოეფიციენტი გაიზარდოს ერთამდე. სითხის როლში გამოიყენება ულტრა სუფთა დეიონიზირებული წყალი, რომლის გარდატეხის მაჩვენებელი მეტია ვიდრე ჰაერის. წყალი მუდმივად ცირკულირებს, რათა გამოირიცხოს ტემპერატურული ეფექტი. წყლის გამოყენების შემთხვევაში NA იზრდება 1.4-ჯერ, ხოლო სხვა მასალის (მაღალი გარდატეხის მაჩვენებელი) გამოყენების შემთხვევაში მისი სიდიდე მკვეთრად გაიზრდება.

2.1.3. ფირების დაფენის ვაკუუმური პროცესი

ვაკუუმური დაფენის პროცესის დროს ხდება დასაფენი ნივთიერების გადატანა ამორთქლებლის წყაროდან (ნახ. 2.5) (მისი გაზურ ფაზაში გადაყვანის ადგილიდან) ქვესაფენის ზედაპირამდე, რომლის მოძრაობა ხდება წრფივ ტრაექტორიაზე 10^{-2} კა და უფრო დაბალ წნევაზე [87]. დასაფენი მასალის ნაწილაკის ქვესაფენის ზედაპირამდე დაჯახების პროცესი დამოკიდებულია მის ენერგიაზე, ტემპერატურაზე და დასაფენი და საფენი მასალის ქიმიურ გვარობაზე. საფენამდე მისული ატომები ან მოლეკულები შეიძლება აირეკლონ ზედაპირიდან, ან ადსორბირდენ მასზე და შემდეგ დესორბირდენ რაღაც დროის შემდეგ, ან ადსორბირდენ და მოახდინონ საფენთან კონდენსაცია. ნაწილაკის დიდი ენერგიისას, საფენის დიდი ტემპერატურისას და ქიმიური შეუთავსებლობისას მოხდება არეკვლა ზედაპირიდან [88]. აორთქლებული ნაწილაკის ძალიან მცირე ნაკადისას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდა ადსორბცია და საფენის ზედაპირზე დასაფენი ატომები არ შეხვდნენ ერთმანეთს ზედაპირზე, არ წარმოიქმნება მარცვლოვანი სტრუქტურის წამონაზარდები და საფენზე ფირი არ გაიზრდება [89]. დაფენილი ფირის სტრუქტურა დამოკიდებულია მასალის თვისებაზე, მის ენერგიაზე, დაფენის ტემპერატურაზე, ზედაპირის მდგომარეობაზე და რაც მთავარია ვაკუუმის ხარისხზე, ანუ ფირში მინარევების რაოდენობაზე. თერმული ვაკუუმური აორთქლების მეთოდი ფართოდ გავრცელებული მეთოდი ვაკუუმური დაფენის მეთოდებს შორის. რეზისტული გამახურებელში დენის

გატარების დროს მასზე მყოფი ნივთიერება დნება და ორთქლებდა ვაკუუმში. ვაკუუმში საშუალებას აძლევს ორთქლის ნაწილაკებს კონდენსაცია განიცადონ დასაფენი ნივთიერებაზე, ნიმუშზე. მაღალ ვაკუუმში გაფრქვეული ნაწილაკების თავისუფალი განარბენის სიგრძე გაცილებით მეტია ვიდრე წყაროსა და ნიმუშს შორის მანძილია, ამიტომ მათ შეუძლიათ ნიმუშზე მოხვედრა ვაკუუმში არსებულ მოლეკულებზე დამატებითი განბნევის გარეშე. დაფენილი ფირის სტრუქტურა დამოკიდებულია მასალის თვისებაზე, მის ენერგიაზე, დაფენის ტემპერატურაზე, ზედაპირის მდგომარეობაზე და რაც მთავარია ვაკუუმის ხარისხზე. ვაკუუმის ხარისხი კი ხასიათდება გარემოში მყოფი (ნარჩენი) გაზის მოლეკულების რაოდენობით. დასაფენი ფირის მოლეკულები, ნარჩენი გაზის მოლეკულეთან დაჯახების გამო, დაგაიხრებიან საწყისი მიმართულებიდან და ამდენად გადიან დაფენის ზონიდან. რამდენიმე ასეთი დაჯახების შემდეგ შეიძლება ვეღარ მოხვდნენ საფენზე და ისინი არიან დაკარგულნი ფირის შედგენილობისთვის. ფირის მასის გადამტანის შესწავლისთვის საჭიროა ორ დაჯახებას შორის მანძილის ცოდნა. ამიტომ შემოაქვთ ცნება – დასაფენი ფირის გაზის მოლეკულების თავისუფალი განარბენის საშუალო მანძილი ($\bar{\lambda}$). ეს სიდიდე განსაზღვრავს მანძილს ორ დაჯახებას შორის.

ვაკუუმის ხარისხის გაზრდისას იზრდება ორ დაჯახებას შორის მანძილი, ანუ თავისუფალი განარბენის სიგრძე [90]. ამ შემთხვევაში მცირდება დასაფენი სტრუქტურის მასის გადამტანი მოლეკულების დაჯახებათა რიცხვი ნარჩენი გაზის მოლეკულეთან და მიიღება დაფენილი სტრუქტურა უფრო სუფთა. შეიძლება დავუშვათ, რომ გაზის ყველა მოლეკულა, ერთისგარდა, გაჩერებულია და ამ მოლეკულაზე ხდება დასაფენი სტრუქტურის მასის გადამტანი მოლეკულის დაჯახება. თუ მოლეკულის განივი კვეთის დიამეტრია d , მაშინ დაჯახება მოხდება მოძრავი მოლეკულის fd^2 ფართის შიგნით და ის მანამდე გაივლიდა $\bar{v}dt$ ტრაექტორიას, სადაც \bar{v} საშუალო სიჩქარეა და dt დროის შუალედი. მოცულობა, რომელშიც ხდება დაჯახება იქნება $V = fd^2\bar{v}dt$. 1სმ^3 -ში მოლეკულათა რიცხვია $\frac{N}{V}$, მაშინ 1სმ^3 -ში დაჯახებათა რიცხვი იქნება $n = \frac{N}{V}fd^2\bar{v}dt$. დაჯახება ხდება ერთი მოლეკულის მოძრაობით, რომელიც გადის ტოლ $\bar{v}dt$ წრფეებს. ასეთი მანძილები,

წრფეები ამ მოცულობაში იქნება n და თავისუფალი განარბენის საშუალო მანძილი იქნება:

$$\lambda = \frac{\bar{v}dt}{n} = \left[\left(\frac{N}{V} \right) f d^2 \right]^{-1} \quad (2.7)$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ მოცულობაში სხვა მოლეკულებიც მოძრაობენ და მოძრაობა ფარდობოთია, მაშინ:

$$\lambda = \frac{\bar{v}dt}{n} = \left[\left(\frac{N}{V} \right) f d^2 \sqrt{2} \right]^{-1} \quad (2.8)$$

თუ გამოვიყენებთ იდეალური გაზის მოძრაობის განტოლებას, მივიღებთ, რომ:

$$\lambda = \frac{kT}{P f d^2 \sqrt{2}} \quad (2.9)$$

სადაც, P გაზის წნევაა. (2.9)–დან ჩანს, რომ თავისუფალი განარბენის საშუალო მანძილი წნევის უკუპროპორციულია. ვაკუუმური დაფენის მეთოდებისთვის ისაა საერთო, რომ რაც მცირეა დაჯახება მასის გადამტან მოლეკულებსა და ნარჩენი გაზის მოლეკულებს შორის, მით სუფთაა დაფენილი მასალა. ეს ნიშნავს, რომ დიდი უნდა იყოს λ , ანუ რაც შეიძლება მცირე უნდა იყოს P წნევა – უნდა იყოს მაღალი ვაკუუმი.

ვაკუუმის ხარისხი ხასიათდება გაზის ატომის თავისუფალი განარბენის საშუალო მანძილის ფარდობით აირის d მანძილთან, λ/d . როდესაც ფარდობა $\lambda/d \ll 1$ ვაკუუმი დაბალია, როცა $\lambda/d \sim 1$ საშუალოა და მაღალია, როცა $\lambda/d \gg 1$.

თერმოვაკუუმური დაფენა შეიძლება გავყოთ ოთხ ძირითად ეტაპებად:

- 1) ნივთიერების აორთქლება;
- 2) ორთქლის გავრცელებას წყაროდან საფენამდე;
- 3) ნივთიერების ორთქლის კონდენსირება ალუბულ საფენზე და
- 4) ემბრიონების წარმოქმნა და ფენის გაზრდა.

ნივთიერების ორთქლის წარმოქმნა მიმდინარეობს სუბლიმაციის მექანიზმით. ტემპერატურის ზრდასთან ერთად იზრდება ატომების საშუალო კინეტიკური ენერგია და მატულობს ალბათობა იმისა, რომ ატომი მოწყდება ზედაპირს და გავრცელდება თავისუფალ გარემოში ორთქლის სახით.

აორთქლების კუთრი სიჩქარე, რომელიც ტოლია 1 წამში, 1 სმ² ზედაპირიდან აორთქლილი ნივთიერებისა, აღიწერება შემდეგი კანონით:

$$V = 5.85P_s \frac{\sqrt{M}}{T} \quad (2.10)$$



სურ. 2.5 ვაკუუმური თერმული აორთქლება

სადაც, P_s გაჯერებული ორთქლის წნევაა, M ნივთიერების მოლური მასაა და T ტემპერატურა. გაჯერებული ორთქლის წნევა პირდაპირპროპორციულია ტემპერატურის. ყოველი 5-10 % ტემპერატურის გაზრდა იწვევს წნევის გაზრდას ერთი რიგით.

ორთქლის გავრცელება წყაროდან საფენამდე ხორციელდება დიფუზიის და კონვექციის ხარჯზე, რომლებზეც თავის მხრივ მოქმედებს ვაკუუმის ხარისხი. სწრაფი და ხარისხიანი დაფენისთვის საჭიროა მიმართული ორთქლის ნაკადის მიღება. ამის გაკეთება შესაძლებელია თუ ორთქლის ნაწილაკების თავისუფალი განარბენის λ სიგრძე იქნება უფრო დიდი ვიდრე ორთქლის წყაროდან საფენამდე მანძილია. აირების კინეტიკური თეორიიდან ცნობილია შემდეგი ფორმულა [91]:

$$\lambda_{საშ} = kT/(\pi\sqrt{2}\delta^2P) \quad (2.11)$$

სადაც $\lambda_{საშ}$ თავისუფალი განარბენის საშუალო სიგრძეა, $k = 1.37 \cdot 10^{-17}$ - ბოლცმანის მუდმივაა, T - აბსოლუტური ტემპერატურაა, δ აირის ნაწილაკის ეფექტური დიამეტრია, ხოლო P აირის წნევა. (2.11) ფორმულიდან ჩანს, რომ $P \approx 10^{-3}$ პა-დან

დაწყებული, თავისუფალი განარბენის საშუალო სიგრძე უფრო მეტია ვიდრე ორთქლის წყაროდან საფენამდე მანძილი. დაფენის დანადგარებში $\lambda_{საფ}$ არ აღემატება 30 სანტიმეტრს.

ორთქლის კონდენსირება საფენზე დამოკიდებულია მის ტემპერატურაზე და ატომარული ნაკადის სიმკვრივეზე. ატომების კონდენსაცია მიმდინარეობს, თუ მათი ბმის ენერგია საფენის ატომებთან მეტია მათ საშუალო ენერგიაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ატომები აირეკვლებიან საფენიდან. თუ საფენი გახურებულია, მისი ატომების ენერგია მეტია, შესაბამისად მცირდება კონდენსაციის ალბათობა. ტემპერატურას, რომლის ზევითაც ორთქლის ყველა ატომი აირეკვლება საფენიდან - კონდენსაციის კრიტიკული ტემპერატურა ეწოდება. კონდენსაციისთვის ასევე არსებობს ატომარული ნაკადის სიმკვრივის კრიტიკული მნიშვნელობა, რომელიც საფენის მოცემული ტემპერატურისთვის არის უმცირესი, რომელზეც ჯერ კიდევ კონდენსირდებიან ატომები.

ემბრიონების წარმოქმნა და ფენის გაზრდა. ემბრიონების წარმოქმნა საფენში, მიმდინარეობს ორთქლის ატომების მინიმალური ენერგიის დაკავების ხარჯზე. ემბრიონები კონდენსაციის პროცესში ეკვრიან ერთმანეთს, და გარკვეული დროის შემდეგ უკვე წარმოქმნიან ფენას, რომელიც შედგება ორთქლის ატომებისგან. დაფენის ამ პროცესში აუცილებელია მაღალი ვაკუუმის შექმნა, იმის გამო, რომ სხვა, ნარჩენი ნივთიერების ატომი არ შეერიოს დაფენილ ფენაში. ამაორთქლებელს და საფენს შორის მანძილისა და დაფენის დროის შერჩევით შესაძლებელია დაფენილი ფირის სისქის რეგულირება.

2.2. გაზომვის მეთოდები

2.2.1. ვოლტ-ფარადული (C-V) მახასიათებელი

ვოლტ-ფარადული (CV) გაზომვის ტექნიკა ფართოდ გამოიყენება ნახევარგამტარული მასალებისა და ხელსაწყოების მახასიათებელი პარამეტრების გასაზომად. ძირითადი პრინციპი ამ მეთოდისა არის ცვლადი ძაბვის მოდება მეტალ-დიელექტრიკ-ნახევარგამტარზე (მდნ) ან შოტკის გადასასვლელზე და ამ გადასასვლელის ტევადობის გაზომვა. დამოკიდებულება მოდებულ ძაბვასა და გაზომილ ტევადობას შორის ინფორმაციას იძლევა ბევრი ფიზიკური პარამეტრის შესახებ.

ეს მეთოდი პრაქტიკულად გამოიყენება, როგორც კვლევით, ასევე MOSCAP და MOSFET ხელსაწყოების წარმოების ინდუსტრიაში. მრავალნაირი ნახევარგამტარული ხელსაწყოების პარამეტრებია შესაძლებელი გაიზომოს CV მახასიათებლით, კერძოდ - ბიპოლარული ტრანზისტორები, ველის ტრანზისტორები [92], III-V ჯგუფის ნახევარგამტარული ხელსაწყოები [93], მზის ელემენტი [94], MEMS [95], ორგანული ველის ტრანზისტორი [96], ფოტოდიოდი [97], ნახშირის ნანომილები [98] და სილიციუმის ნანომავთული [99].

CV მახასიათებელს აქვს მრავალი მნიშვნელოვანი თვისება, რაც მას საჭიროს და აუცილებელს ხდის ინტეგრალური სქემების შექმნის და აგრეთვე დღესდღეისობით მზის ელემენტებზე გაზრდილი მოთხოვნის და მისი წარმოების ინდუსტრიაში. ამ ტიპის ელექტრული გაზომვა საკმაოდ აქტიური გზაა ხელსაწყოზე და მასალაზე ინფორმაციის მოსაპოვებლად. უფრო მეტიც, ის არის ადვილი და სწრაფი მოსახმარი ნებისმიერი სახის კვლევებისთვის. კიდევ ერთი უპირატესობა CV გაზომვისა არის ამ ხელსაწყოს სიახვე სხვა მასალების კვლევის ხელსაწყოებთან შედარებით.

CV ტესტის თავისებურებები და მოხერხებულობა მას ხდის ფარდოდ გამოყენებადს სხვადასხვა დისციპლინებში და გამოყენების სფეროებში. მკვლევარები და ნახევარგამტარების მწარმოებლები იყენებენ ამ ტექნიკას რათა შეაფასონ ახალი მასალები, პროცესები, ხელსაწყოები და წრედები. სერიულ წარმოებაში CV ტესტს ინჟინრები იყენებენ რათა ანალიზი გაუკეთონ სხვადასხვა პროცესების შედეგებს

მთელი წარმოების ციკლის განმავლობაში, ამოწმებენ მასალის ხარისხს და სწავლობენ ვარგისიანობის მექანიზმებს.


მიუხედავად ყველაფრისა, ამ მეთოდსაც აქვს ნაკლოვანი მხარეები. ეს გამოიხატება უმთავრესად მახასიათებლის არასიზუსტეში თუ ხელსაწყოს აქვს თუნდაც ძალიან მცირე გაჟონვა [100].

CV ტესტით შესაძლებელია გაიზომოს მინარევების საშუალო კონცენტრაცია, მინარევების პროფილი და მუხტის მატარებლების სიცოცხლის ხანგრძლივობა. ხელსაწყოს ანალიზის შემთხვევაში - ოქსიდის სისქე, ოქსიდის მუხტი, ძვრადი იონების [101] და გამყოფ საზღვარზე არსებული ჩამჭერი ცენტრების სიმკვრივე. ყველა ეს ტესტი ზოგადად სრულდება ყველა კრიტიკული ტექნოლოგიური პროცესის შემდეგ, როგორცაა ჩამკეტქვეშა დიელექტრიკის ფორმირება, პოლიკრისტალური სილიციუმის დაფენა და მეტალიზაცია. შედეგები საშუალებას იძლევა გავიგოთ თუ როგორ მოქმედებს სხვადასხვა პარამეტრები და ქიმიური ზემოქმედება ხელსაწყოზე. CV ტესტი გამოიყენება აგრეთვე დამთავრებული ხელსაწყოს პარამეტრების გასაზომად. მაგალითად: ზღურბლური ძაბვის [102] გასაზომად.

CV გაზომვის თეორიის შესწავლა და შემდგომი გაღრმავება დაიწყო 1960-იანი წლებიდან. აღნიშნული საკითხების კვლევა გრძელდებოდა და გასული 50 წლის განმავლობაში ფართოდ მოხდა მისი შესწავლა. მთავარ გამოწვევად მაინც რჩება გაზომვის დიდი სიზუსტე. შემოთავაზებული იყო სხვადასხვა გაზომვების კომბინაცია, აგრეთვე გაზომვების შესრულება დაბალ ტემპერატურებზე. დღესდღეისობით გამოთვლითი ტექნიკის შესაძლებლობების გამოყენებით მკვლევარებს და ინჟინრებს საშუალება აქვთ განავითარონ გამოთვლითი პროგრამები უფრო ზუსტი ანალიზის გასაკეთებლად. მაგალითად, ბევრი კვანტური მოვლენა, როგორცაა ტუნელირება ჩვეულებრივ შედის იმ ანალიზის ნუსხაში, რომელიც კეთდება CV გაზომვით, მაგრამ მიზეზი გაზრდილი მოთხოვნისა CV გაზომვების დაკავშირებულია სილიციუმის მზის ელემენტების და MEMS ხელსაწყოების პარამეტრების კვლევასთან, როგორც მწარმოებელთა, ისე კვლევითი ლაბორატორიების მხრიდან.

C-V გაზომვა იწარმოება ტევადობის მსგავს ხელსაწყოებზე, როგორცაა MOS სტრუქტურა (მეტალ-ოქსიდ-ნახევარგამტარი, მონ). ის ჩვეულებრივ წარმოადგენს ოქსიდის ფენას, რომელიც მოთავსებულია მეტალისა და ნახევარგამტარის ფენებს

შორის. ოქსიდი ასრულებს დიელექტრიკის როლს, ხოლო ნახევარგამტარი და მეტალი კი ასრულებენ შემონაფენების როლს. ამასთან მეტალის ფართობი განსაზღვრავს შემონაფენის ფართობს. მონ კონდესატორი შეიძლება შეიქმნას პირდაპირ ნახევარგამტარულ საფენზე (n-ტიპის, ან p-ტიპის), რომელიც ამავედროულად ასრულებს ერთ-ერთი კონტაქტის როლს, ხოლო მეორე კონტაქტი არის მეტალური ფენა (ნახ.2.6). ნახ.2.6-ზე მოცემულია მონ კონდესატორის ელექტრული ჩართვის სქემა.



ნახ. 2.6 მონ სრუქტურის ელექტრული ჩართვის სქემა

განსაზღვრების თანახმად ტევადობა (C) არის მუხტის (Q) ცვლილება, რომელიც გამოწვეულია ძაბვის (V) ცვლილებით:


$$C = \frac{\Delta Q}{\Delta V} \quad (2.12)$$

ამიტომ, პრაქტიკული მიზნებისათვის ამ ფორმულის გამოყენება, რომ შეგვეძლოს, საჭიროა მონ კონდესატორზე მოვდოთ მცირე AC (მილივოლტების რიგის) სიგნალი და გავზომოთ მიღებული დენი. მიღებული დენით განვსაზღვრავთ Q მუხტს და მუხტით და V ძაბვით განვსაზღვრავთ C ტევადობას.

C-V გაზომვა იყენებს ორი სახის ძაბვას, რომელიც მოდებულია მონ სტრუქტურაზე: ცვლადი ძაბვის (AC) სიგნალი და მუდმივი ძაბვა (DC), რომელიც წაინაცვლებს დროში ნახ.2.7.


AC ძაბვის სიდიდე და სიხშირე არის ფიქსირებული, ხოლო DC ძაბვა წაინაცვლებს დროში. DC ძაბვის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ცვალოს ნიმუშში სიღრმე, ხოლო მცირე AC ძაბვის სიგნალით გამოვთვალოთ მოცემული სიღრმისათვის ტევადობა.

მონ სტრუქტურის მნიშვნელოვანი თვისება არის ის, რომ მისი ტევადობა იცვლება მოდებული ძაბვის ცვლილებით, ანუ ტევადობა არის ძაბვის ფუნქცია ნახ.5.



ნახ. 2.7 მონ სტრუქტურაზე მოდებული ცვლადი (AC) და მუდმივი ძაბვა (DC) სიგნალი

ნახ.2.8 გვიჩვენებს მაღალ სიხშირულ (1მგჰც) C-V მრუდს p-ტიპის ნახევარგამტარისთვის. როგორც სურათიდან ჩანს ამ მრუდზე გამოყოფილია სამი უბანი: გამდიდრების, გაღარიბების და ინვერსიის.



ნახ. 2.8 p-ტიპის ნახევარგამტარის შესაბამისი მონ სტრუქტურის ვოლტ-ფარადული (C-V) ტიპური მახასიათებელი

გამდიდრების უბანი. თუ ძაბვა არ არის მოდებული მეტალსა და ნახევარგამტარს შორის, მაშინ p-ტიპის ნახევარგამტარში ვალენტურ ზონაში გვაქვს ხვრელები, ანუ მუხტის ძირითადი მატარებლები. როდესაც უარყოფითი ძაბვა მოედება მეტალსა და ნახევარგამტარს შორის დადებითი მუხტები მოგროვდებიან დიელექტრიკ-ნახევარგამტარის გამყოფ საზღვართან. ეს იმიტომ, რომ მეტალის უარყოფითი მუხტი იწვევს სიდიდით ტოლი და ნიშნით საპირისპირო მუხტის მოგროვებას აღნიშნულ საზღვართან. ამიტომაც ჰქვია ამ უბანს გამდიდრების უბანი, რაც მუხტების მოგროვებას ნიშნავს დიელექტრიკ-ნახევარგამტარის საზღვართან.

p-ტიპის მონ კონდესატორის ოქსიდის ტევადობა (C_{ox}) იზომება სწორედ გამდიდრების უბანში, რადგან საკმაოდ დიდი უარყოფითი ძაბვის შემთხვევაში ტევადობა თითქმის აღარ იცვლება და ამ უბანში მრუდი არის სწორხაზოვანი. ასევე შესაძლებელია ტევადობის გაზომვით განვსაზღვროთ ოქსიდის სისქეც (d_{ox}). იმ შემთხვევაში, როცა ოქსიდი არის ძალიან თხელი ($<50\text{\AA}$), მაშინ CV მრუდი ამ უბანში არ სწორდება და გაზომილი ტევადობა განსხვავდება ოქსიდის რეალური ტევადობის მნიშვნელობისაგან.

გალარიბების უბანი. თუ დადებითი ძაბვაა მოდებული მეტალსა და ნახევარგამტარს შორის, მაშინ მუხტის ძირითადი მატარებლები იწყებენ მოძრაობას ოქსიდი-ნახევარგამტარის გამყოფი საზღვრიდან, რაც იწვევს საზღვართან მუხტის შემცირებას.

ამ მდგომარეობას ჰქვია გაღარიბება, რადგანაც ნახევარგამტარის ზედაპირი ნელ-ნელა ღარიბდება მუხტის ძირითადი მატარებლებით. ამ არეში ნახევარგამტარი ხდება გაუმტარი მუხტის არარსებობის გამო, ანუ გარდაიქმნება დიელექტრიკად. გაზომილი ტევადობა არის ჯამი ოქსიდის ტევადობისა და გაღარიბებული უბნის ტევადობის, რომლებიც შეერთებულნი არიან მიმდევრობით. შედეგად გაზომილი ტევადობა მცირდება, რადგან ცნობილია, რომ მიმდევრობით შეერთებისას ჯამური ტევადობა მცირდება. ეს შემცირებაა ნაჩვენები ნახ. გაღარიბების უბანში. ძაბვის შემდგომი გაზრდა იწვევს გაღარიბების უბნის კიდევ გაზრდას, რაც ზრდის ოქსიდის ეფექტურ სისქეს და შესაბამისად კიდევ უფრო ამცირებს ტევადობის მნიშვნელობას.

ინვერსიის უბანი. თუ მონ სტრუქტურაზე მოდებული დადებითი ძაბვა კიდევ გაიზარდა ეგრეთწოდებულ ზღურბლულ ძაბვამდე (V_{th}), მაშინ დადებითი ძაბვის მიერ წარმოქმნილი ელექტრონულ-ხვრელური წყვილიდან ის მიიზიდავს ელექტრონებს, ანუ არა ძირითად მუხტის მატარებლებს, ოქსიდი-ნახევარგამტარის გამყოფი საზღვრისკენ. რადგან ოქსიდი არის კარგი იზოლატორი, ელექტრონები ვერ გადალახავენ ოქსიდურ ფენას და მოგროვდებიან საზღვართან. ამ არეს, სადაც ხდება მუხტის არაძირითადი მატარებლების დაგროვება, ეწოდება ინვერსიის უბანი, რადგან მუხტის პოლარობა ამ უბანში შეიცვალა. განსაზღვრული ძაბვის შემდეგ თითქმის ყველა ელექტრონი თავმოყრილია ინვერსიულ უბანში და ძაბვის კიდევ გაზრდა აღარ იწვევს შემდგომ გაღარიბებას, ანუ მიიღწევა გაღარიბების მაქსიმალური სიღრმე. ამ დროს გაზომილი ტევადობა წარმოადგენს მიმდევრობით შეერთებულ ოქსიდის ტევადობისა და მაქსიმალური გაღარიბების შესაბამისი ტევადობათა ჯამს. გაზომილი ტევადობა არის მინიმალური და CV მრუდზე წარმოადგენს მინიმალურ ტევადობას სწორი მრუდით. ამ უბანში გაზომილი ტევადობა დამოკიდებულია სიხშირეზე. შესაბამისად, CV მრუდს ექნება სხვადასხვა სახე განსხვავებულ სიხშირეებზე გაზომვისას. ეს განსხვავება უფრო მნიშვნელოვანი ხდება დაბალ სიხშირეებზე გაზომვისას, ხოლო მაღალ სიხშირეებზე - უმნიშვნელოა.

n-ტიპის ნახევარგამტარიანი მონ სტრუქტურის შემთხვევაში ყველაფერი ანალოგიურია იმ განსხვავებით, რომ 1) მუხტის ძირითადი მატარებლები არიან ელექტრონები; 2) CV მრუდი არის სარკული გამოსახულება p-ტიპის მრუდისა; 3)

გამდიდრების უბანი მიიღება მეტალზე დადებითი ძაბვის მოდებით; და 4) ინვერსიის უბანი მიიღება შესაბამისად უარყოფით ძაბვის მოდებისას.

CV მახასიათებლიდან გამოთვლება შენდები პარამეტრები:

ა) *ოქსიდის სისქე.* შედარებით სქელი ($>50\text{\AA}$) ოქსიდების შემთხვევაში სისქის გამოთვლა არის მარტივი. ოქსიდის ტევადობა (C_{ox}) არის მაღალ სიხშირული ტევადობა ათვლილი ძლიერი აცუმულაციის უბანში. ამ უბანში მონ კონდესატორი მსგავსია ბრტყელ-პარალელური კონდესატორისა და ოქსიდის სისქე (T_{ox}) შეიძლება დათვლილი იაქნეს C_{ox} -დან და მეტალის კონტაქტის ფართობიდან შემდეგნაირად:

$$T_{ox} = \frac{A \epsilon_{ox}}{C_{ox}} \cdot 10^7 \quad (2.13)$$

სადაც: T_{ox} - ოქსიდის სისქე (ნმ); A - კონტაქტის ფართობი (სმ^2); ϵ_{ox} - ოქსიდის დიელექტრიკული შეღწევადობა (ფ/სმ); C_{ox} -ოქსიდის ტევადობა (ფ) და 10^7 - პროპორციულობის კოეფიციენტი ($\text{სმ} \rightarrow \text{ნმ}$).

ბ) *ტევადობის (C_{FB}) და ძაბვის (V_{FB}) განსაზღვრა იმ წერტილში, რომელზეც ზონური გამრუდება არ გვაქვს.*

V_{FB} არის ძაბვა, რომელზედაც ზონური გამრუდება არ გვაქვს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ამ დროს ზედაპირის პოტენციალი ნულის ტოლია. მის გამოსათვლელად გამოვიყენოთ სწორზონოვანი ტევადობის მეთოდი. ამ მეთოდის თანახმად, სწორზონოვანი ტევადობის (C_{FB}) სიდიდე დაითვლება ოქსიდის ტევადობისა და დეზის სიგრძიდან. დეზის სიგრძის იდეა ნასესხებია პლაზმური ფიზიკიდან და განსაზღვრავს იმ სიგრძეს, რომელსაც ელექტრონი პლაზმაში გადის დაუჯახებლად. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე ნახევარგამტარიც ჩათვლილია პლაზმად. ამგვარად, თუ გვეცოდინება C_{FB} შევძლებთ CV მრუდიდან ვიპოვოთ V_{FB} .

C_{FB} გამოითვლება შემდეგი ფორმულიდან:

$$C_{FB} = \frac{C_{ox}(\epsilon_s A / \lambda) (10^2)}{C_{ox} + (\epsilon_s A / \lambda) (10^2)} \quad (2.14)$$

სადაც: C_{FB} - სწორზონოვანი ტევადობა (ფ); C_{ox} - ოქსიდის ტევადობა (ფ); A - კონტაქტის ფართობი (სმ^2); ϵ_s - ნახევარგამტარის დიელექტრიკული შეღწევადობა (ფ/სმ); 10^2 - პროპორციულობის კოეფიციენტი ($\text{სმ} \rightarrow \text{ნმ}$) და λ - დეზის ტალღის სიგრძე, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\lambda = \left(\frac{\epsilon_s k T}{q^2 N} \right)^{1/2} \cdot (10^{-2}) \quad (2.15)$$

სადაც: λ - დეზაის ტალღის სიგრძე (მ); ϵ_s - ნახევარგამტარის დიელექტრიკული შეღწევადობა (ფ/სმ); kT - სითბური ენერგია ოთახის ტემპერატურაზე (293K) (4.046×10^{-21} ჯ); q - ელექტრონის მუხტი ($1,60219 \times 10^{-19}$ კ); N -ხვრელების კონცენტრაცია ნახევარგამტარში (p-ტიპის შემთხვევაში) და 10^{-2} - პროპორციულობის კოეფიციენტი (სმ \rightarrow მ).

გ) **ზღურბლური ძაბვა (V_{TH}) და მოცულობითი პოტენციალი (ϕ_B).** ზღურბლური ძაბვა (V_{TH}), ანუ ინვერსიის ძაბვა ეს არის C-V მრუდზე წერტილი, რომლის შეესაბამისი ზედაპირის პოტენციალი (ϕ_s) უდრის გაორმაგებულ მოცულობით პოტენციალს (ϕ_B). მრუდზე ეს წერტილი შეესაბამება ძლიერი ინვერსიის უბანს, ანუ წერტილი რომელზეც ხელსაწყო (იგულისხმება ველის ტრანზისტორი MOSFET) ხდება გამტარი.

მონ კონდესატორისათვის V_{TH} შეიძლება გამოითვალოს შემდეგნაირად:

$$V_{TH} = V_{FB} \pm \left[\frac{A}{C_{ox}} \sqrt{4\epsilon_s q |N_{BULK} \phi_B|} + 2|\phi_B| \right] \quad (2.16)$$

სადაც: V_{TH} - ინვერსიის ძაბვა; V_{FB} - სწორზონოვანი ძაბვა; C_{ox} -ოქსიდის ტევადობა (ფ); A - კონტაქტის ფართობი (სმ²); ϵ_s - ნახევარგამტარის დიელექტრიკული შეღწევადობა (ფ/სმ); q - ელექტრონის მუხტი ($1,60219 \times 10^{-19}$ კ); N_{BULK} -საფენის მინარევების კონცენტრაცია ($სმ^{-3}$) და ϕ_B - საფენის მოცულობითი პოტენციალი (ვ).

მოცულობითი პოტენციალი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$\phi_B = -\frac{kT}{q} \ln \left(\frac{N_{BULK}}{N_i} \right) (DopeType) \quad (2.17)$$

სადაც: ϕ_B - საფენის მოცულობითი პოტენციალია (ვ); k - ბოლცმანის მუდმივა (1.3807×10^{-23} J/K); T - ტემპერატურა (K); q - ელექტრონის მუხტი ($1,60219 \times 10^{-19}$ კ); N_{BULK} - საფენის მინარევების მოცულობითი კონცენტრაცია ($სმ^{-3}$); N_i - საფენის საკუთარი მუხტის მატარებლების კონცენტრაცია ($1.45 \times 10^{10} სმ^{-3}$) და DopeType = +1, როცა საფენია p-ტიპის და -1, როცა n-ტიპის.

დ) **გამოსვლის მუშაობა (W_{MS}) მეტალსა და ნახევარგამტარს შორის** W_{MS} ეს არის მუშაობა, რომელიც აუცილებელია, რომ ელექტრონი ამოვიდეს დიელექტრიკიდან და ნახევარგამტარიდან. ის შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

$$W_{MS} = W_M - \left[W_S + \frac{E_{BG}}{2} - \phi_B \right] \quad (2.18)$$

სადაც: W_{MS} - მეტალსა და ნახევარგამტარს შორის გამოსვლის მუშაობათა სხვაობა (ვ); W_M - მეტალის გამოსვლის მუშაობა (ვ); W_S - საფენის გამოსვლის მუშაობა,

ელექტრონების სწრაფვა; E_{BG} – საფენის აკრძალული ზონის სიდიდე (ვ) და ϕ_B – საფენის მოცულობითი პოტენციალი (ვ).

მაგალითისათვის, განვიხილოთ სილიციუმი (Si), სილიციუმის დიოქსიდი (SiO_2) და ალუმინი (Al) და გამოვთვალოთ W_{MS} :

$$W_{MS} = 4.1 - \left[4.15 + \frac{1.12}{2} - \phi_B \right] \quad (2.19)$$

საიდანაც,

$$W_{MS} = -0.61 + \phi_B$$

$$W_{MS} = -0.61 - \frac{kT}{q} \ln \left(\frac{N_{BULK}}{N_i} \right) (DopeType) \quad (2.20)$$

ალუმინისა და p-ტიპის სილიციუმის ($N_{BULK} = 10^{16} \text{ cm}^{-3}$) შემთხვევაში $W_{MS} = -0.95$ ვ და n-ტიპისათვის – $W_{MS} = -0.27$ ვ. მონ სტრუქტურებისათვის მთავარი მიზანი არის რაც შეიძლება მცირე გამოსვლის მუშაობა (W_{MS}) მიიღონ მეტალსა და ნახევარგამტარს შორის, რომ რაც შეიძლება მცირე იყოს ძაბვის ვარდნა გამყოფ საზღვარზე.

ე) ოქსიდის ეფექტური მუხტი – (Q_{EFF}) შეადგენს ოქსიდის ფიქსირებული მუხტის (Q_F), ძვრადი იონების მუხტისა (Q_M) და ოქსიდის ჩამჭერი ცენტრების მუხტების (Q_{OT}) ჯამს:

$$Q_{EFF} = Q_F + Q_M + Q_{OT} \quad (2.21)$$

ოქსიდის მუხტის განსაზღვრა C-V მრუდის დახმარებით არ იძლევა ეფექტური მუხტში შემავალი კომპონენტების ცალ-ცალკე განსაზღვრის საშუალებას, რადგან ამისათვის საჭიროა გაზომვები მოხდეს სხვადასხვა ტემპერატურებზე. ასევე უცნობია ოქსიდში მუხტის განაწილების პროფილი, ამიტომ იანგარიშება Q_{EFF} -ის ფარდობითი სიდიდე და არა აბსოლუტური სიდიდე. ამასთან ეს ხდება იმის დაშვებით, რომ მთელი მუხტი მათავსებულია ერთ სიბრტყეში დიელექტრიკ-საფენის გამყოფ საზღვართან.

Q_{EFF} შეიძლება გამოითვალოს ნიკოლიანის და ზრიუს ტოლობიდან შემდეგნაირად:

$$V_{FB} - W_{MS} = -\frac{Q_{EFF}}{C_{OX}} \quad (2.22)$$

სადაც; V_{FB} – სწორზონოვანი ძაბვა; W_{MS} – მეტალ-ნახევარგამტარის გამოსვლის მუშაობა (ვ); Q_{EFF} – ოქსიდის ეფექტური მუხტი (ვ) და C_{ox} – ოქსიდის ტევადობა (ფ).

უნდა შევნიშნოთ, რომ C_{ox} არის ტევადობა ფართის ერთეულზე, ამიტომ

$$Q_{EFF} = \frac{C_{ox}(V_{FB} - W_{MS})}{A} \quad (2.23)$$

სადაც, A არის კონტაქტის ფართობი (სმ^2).

ოქსიდის ეფექტური მუხტის კონცენტრაცია კი გამოითვლება, როგორც

$$N_{EFF} = \frac{Q_{EFF}}{q} \quad (2.24)$$

სადაც: N_{EFF} - ოქსიდის ეფექტური მუხტის კონცენტრაცია (სმ^{-2}); Q_{EFF} - ოქსიდის ეფექტური მუხტი (კ) და A - კონტაქტის ფართობი (სმ^2).

ვ) საფენის მინარევების კონცენტრაცია გამოითვლება $1/C^2$ -ის V_G -ზე დამოკიდებულების გრაფიკიდან შემდეგნაირად:

$$N_{SUB} = \frac{2}{q\epsilon_s A^2 \left(\frac{\Delta 1/C^2}{\Delta V_G} \right)} \quad (2.25)$$

სადაც: N_{SUB} - საფენის მინარევების კონცენტრაცია; A - კონტაქტის ფართობი (სმ^2);

ϵ_s - ნახევარგამტარის დიელექტრიკული შეღწევადობა (ფ/სმ); q - ელექტრონის მუხტი ($1,60219 \times 10^{-19}$ კ); V_G - მეტალის კონტაქტზე მოდებული ძაბვა (ვ) და C - გაზომილი ტევადობა (ფ).

ზ) გაღარიბებული არის სიღრმე შეიძლება დათვლილ იქნეს მაღალი სიხშირის ტევადობისა და ოქსიდის ტევადობისაგან მეტალზე მოდებული ძაბვის თითოეული მნიშვნელობისათვის:

$$W = A\epsilon_s \left(\frac{1}{C} - \frac{1}{C_{ox}} \right) (10^2) \quad (2.26)$$

